

გიორგი გაგლოევი

საქართველოს ისტორიული მხარეები

მოსწავლეებისათვის, აბიტურიენტებისათვის, სტუდენტებისათვის და მათთვის, ვისაც ისტორია აინტერესებს.

ავტორი

რედაქტორი: საჯარო სკოლის პედაგოგი ნათია სამაგლიშვილი
ტექნიკური უზრუნველყოფა: გიორგი ცუცქირიძე
მისამართი: გორი, შპს, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 41.
ტირაჟი: 50 ეგზ.
გორი,2016 წელი

ISBN 978-9941-0-8493-5



აბაზგია - (ბერძნ. აბასგია), აბაზგებით დასახლებული ისტორიული მხარე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. ახ.წ. დასაწყისში ეკავა დაახლოებით ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორია. I-II საუკუნეებში აქ წარმოიქმნა აბაზგების სამთავრო, რომელმაც VI-VII საუკუნეებში ჩრდილოეთით გადაინაცვლა მდ. გუმისთასა და ბზიფს შუა. აბაზგიაში ზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ცენტრები იყო: ჩრდილოეთით ბიჭვინთა, სამხრეთით ანაკოფია. აბაზგია თავდაპირველად ეგრისის სამეფოში შედიოდა. VI საუკუნის შუა წლებიდან ბიზანტიას დაემორჩილა, მაგრამ აბაზგები დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ (აბაზგების აჯანყება 550წ). ამ დროისათვის აბაზგიაში უკვე მიმდინარეობდა ფეოდალიზაციის პროცესი. VIII საუკუნეში აბაზგია და აფსილეთი ერთ სამთავროდ გაერთიანდა.

აბჟუა - მხარე აფხაზეთის შუა ნაწილში, შემოსაზღვრული მდინარეებით კოდორითა და ღალიძგით. ძველი ქართული წყაროებით - შუასოფელი. აფხაზეთის სამთავროს არსებობის უკანასკნელ პერიოდში ცალკე ადმინისტრაციული ოლქი იყო. ეჭირა დაახლოებით ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორია.

არგვეთი, მარგვი - ისტორიული პროვინცია დასავლეთ საქართველოში. ლეონტი მროველის (XI ს.) მიხედვით, არგვეთი მოიცავდა ტერიტორიას ლიხის ქედიდან რიონამდე და რაჭის მთებიდან ფერსათის მთებამდე, ე.ი. ახლანდელი ხარაგოულის, საჩხერის, ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდათის და ტყიბულის რაიონებისა, ტყიბულისა და ჭიათურის საქალაქო საკრებულოების ტერიტორიას.

არგვეთის საერისთავო ფარნავაზმა შექმნა და იგი ლიხის მთიდან მდინარე რიონამდე ტერიტორიას მოიცავდა. ამ დროს მისი ცენტრი დღევანდელი საირხეს ადგილზე ქ. საჩხერიდან სამხრეთით 3 კმ-ზე იყო. ფარნავაზმა აქ ააგო შორაპანისა და დიმნას (დიმის) ციხეები. მოგვიანებით აიგო მნიშვნელოვანი

ციხე-ქალაქები სკანდა, სვერი, ჩიხა, ბორი. ახ.წ. I-III ს-ში არგვეთის სამხრეთ-აღმოსავლთი ნაწილი ისევ გაძლიერებულ ქართლს ეკუთვნის საპიტიახშოს სახით. პიტიახშების რეზიდენცია კი სოფელ ბორიში იყო. შემდეგ ისევ ეგრისს დაუბრუნდა. IX საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგიმ შიდა ქართლის დაპყრობის შემდეგ ეს მხარე არგვეთს შეუერთა და მისი გამგებლობა საკუთარ ძმისშვილს ჩააბარა, რომლის რეზდენცია სოფელ ჩიხაში (საჩხერს რაონში, ქალაქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 კმ-ზე) იყო. XI საუკუნის I ნახევარში არგვეთის ერისთავებად იხსენიებიან ხურსი და გიორგი. არგვეთში იყო შუა საუკუნეების ერთ-ერთი მძლავრი ფეოდალური გვარის ბაღვაშების (ბაღუა-შების) მამული. უკანასკნელი ბაღვაშის, რატის, სიკვდილის შემდეგ (1103 წელი) დავით აღმაშენებელმა მათი მამული გელათის მონასტერს შესწირა. XII-XIII საუკუნეებში არგვეთის ერისთავებად ამანელისძენი სჩანან. 1330 წელს დასავლეთ საქართველოს შემოერთების შემდეგ გიორგი ბრწყინვალემ დააარსა შორაპნის საერისთავო, რომელიც მთელს იმერეთს მოცავდა. XIV საუკუნის ბოლოსთვს შორაპნის საერისთავო უკვე მხოლოდ არგვეთს მოცავდა. XV საუკუნიდან მოყოლებული შორაპნის საერისთავოს დაშლის პარალელურად არგვეთში ჩამოყალიბდა სათავადოები: საწერეთლო, სააბაშიძეო, საჩხეიძეო და სამხეიძეო.

არტაანი - ისტორიული მხარე და ციხე-ქალაქი მესხეთის ნაწილში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე. იგი მოიცავს მტკვრის ზემო დინების ორივე მხარეს. მისი თურქული ფორმაა არდაჰანი. თავდა- პირველად არტაანი მხარის სახელწოდება იყო. ჟამთააღმწერელ ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობით, ლეგენდარული მცხეთოსის ძემ ჯავახოსმა ააშენა არტაანის ციხე-ქალაქი, რომელსაც მაშინ ქაჯთა ქალაქი რქმევია, მროველის დროს კი - ჰური. იმავე ცნობით, ფარნავაზის დროს, ძვ. წ. III საუკუნეში წუნდის საერისთავოში შედიოდა არტაანი, ჯავახეთი და კოლა. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა აქ საეპისკოპოსო შექმნა და კათედრა ერუშეთში დააწესა. თამარის ეპოქაში არტაანი სანაპირო საერისთავო იყო, შემდეგ სამცხის ათაბაგთა სამთავროში შედიოდა.

აბოცი - ასე იწოდებოდა შუასაუკუნეებში საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი განაპირა ქვეყანა, რომელსაც გვიან შუასაუკუნეებში ყაიყულსაც უწოდებდნენ. დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, ასე აგვიწერს აბოც-ყაიყულს: "ხოლო ტაშირს, აბოცსა და ბერდუჯ-ბამბაკსა ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარაღაჯად წოდებული (ქართლის ცხოვრება, IV, გვ.313) მეცნიერი ჩვეული გულისხმიერებით აღწერს ამ მთას: "არს მარადის თოვლიანი და უტყეო, და კალთათა ბალახოვანი, ყუავილიანი, წყარონი მრავალნი კეთილნი". მას არც ირჯანის მთის სასარგებლო წიაღირსეული ავიწყდება: "აქ ითხრების თეთრი ქვა, მგზგავსი მარმარილოსი" ამ დიდებულ ქვას აბოცელნიც იყენებდნენ და მათი მომიჯნავენიც. ასევე ითქმის ირჯანის მთის საზაფხულო საძოვრებზეც, რომელზეც სელჩუკიან თურქებსაც თვალი რჩებოდათ, ყიზილბაშებს და სხვა მომთაბარეებსაც. მრავალმხრივი

სიკეთით მომადლებულ ირჯანის მთის დასავლეთით გადაშლილი იყო ასეთივე ნაყოფიერი მთებით შემოზღუდული და შეკრული უმშვენიერესი ქართული ქვეყანა აბოცი. "ამ მთის (ირჯანის) დასავლეთ კერძ არს აბოცი, აწ ყაიყულად წოდებული"- წერს ვახუშტი და იქვე ლაკონურად გვიხატავს მის ფიზიკურ-საგეოგრაფიო სახეს: "გარმოხვეული სრულიად მთითა და შუაში ვაკე". ვახუშტი ამ გამორჩეული ქართული რეგიონის დიდ ნაყოფიერებასაც არ ტოვებს უყურადღებოდ, რა მარცვლეული კულტურები არ ხარობდა იქ: ხორბალი, ქრთილი, შვრია,...მოჰყავდათ სელი და სხვა. უხვად გააჩნდა საზაფხულო საძოვრები, ხოლო საზამთროდ თივა და ამ ნიადაგზე მეცხოველეობაც დიდად იყო განვითარებული. რაც შეეხება თევზს, აბოცის წყლებში (აქედან მოედინება ახალქალაქის წყალიც) მხოლოდ კალმახი ხარობდა. გვიან შუასაუკუნეებში აბოცის გული იყო მცირე ქალაქი ყაზანჩი, რომლის სახელიდანაც ნათლად იკვეთება ის ავბედობა, რაც მას ამ პერიოდში დაატყდა თავს. ვახუშტი აბოცისა და პალაკაციოს გამმიჯნავ აღაბაბას მთასაც ასახელებს, ოღონდ სამეურნეოს ნაცვლად სხვა ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: "იგი მთა არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა, ვიდრე თეთრ ციხემდე და ტბამდე ტაშაღანისა" (იქვე). ასეთი ყოველმხრივ შემკული ქვეყანა თავისი სტრატეგიული მდებარეობითაც გამოირჩეოდა, იგი მნიშვნელოვანი გზების შესაყარი იყო და ამიტომაც მტერი და მოყვარეც დღენიადაგ გამოულევლად მიელტვიოდა. აბოცზე გადიოდა ისპაჰანისკენ მიმავალი მოკლე და მოხერხებული გზაც. შიდა ქართლიდან იგი ატენითა და თრიალეთით ადიოდა აბოცს, ხოლო იქედან ერევანს და ა.შ. საინტერესოა, რომ ამ გზის სიკეთე არამარტო ქართველებმა უწყოდნენ, არამედ მტრებმაც. ვინ მოთვლის რამდენი ველური დამპყრობელი შემოსულა ამ გზით საქართველოში. საკმარისია თემურ ლენგისა და იაყუბ ყაენის ავბედით შემოსვლათა დასახელებაც. აბოცს ქვემო ქართლიდან მიმავალი გზებიც სერავდნენ. ასევე ითქმის კარიდან (ყარსიდან), არტაანიდან და სხვა მხარეებიდან მომავალი გზებზეც. ამგვარ ქვეყანას ბუნებრივია ადრე უნდა მიეპყრო ადამიანის ყურადღება და ასეც არის. აბოცს უძველეს დროიდან ატყვია ჩვენი შორეული წინაპრების ნაფეხურები და ნამოქმედარნი. ეს იმ ლეგენდარულ გადმოცემებშიც აისახა, რომელიც ქართლოსის უმცროსი ვაჟის გაჩიოს წილხვდომილ ქვეყენაზე მიგვანიშნებს. XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი გაჩიოს ქვეყანას ასე შემოსაზღვრავს: "ხოლო გაჩიოს მისცა ორბის ციხე და სკვრეთის მდინარითგან (ეხლანდელი ვერე) ვიდრე თავადმდე აბოცისა" (ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ.9) გამოხდა ხანი და ისტორიული საქართველოს სამხრეთ რეგიონებში მსხვილმა გაერთიანებებმა იწყეს აღმოცენება. ერთ-ერთი მათგანი კულხას გაერთიანება იყო. ეს გაერთიანება XI საუკუნეში (ძვ.წ) წარმოიქმნა. აბოცის მიწა-წყალიც მის შემადგენლობაშია სავარაუდებელი. ასევე ითქმის მცხეთის პირველი მეფის აზოს (აზონის) საბრძანებელზეც (IV ს. ძვ.წ). III საუკუნის პირველ მესამედში (ძვ.წ) აზონი მცხეთის ტახტზე ფარნავაზმა შეცვალა. ქართული საისტორიო ტრადიციით,

რომელიც ლეონტი მროველს დაუცავს (XI ს, ახ.წ) ფარნავაზს ქვეყანაში ადმინისტრაციული რეფორმა განუხორციელებია და მისი სამფლობელო რამდენიმე სამმართველოდ დაუყვია. ამ ადგილობრივ საგამგეოთა შორის ყოფილა სამშვილდის საერისთავოც, რომელიც ტაშირს და აბოცს მოიცავდა (ქართლის ცხოვრება, I, გვ.24) IV საუკუნის შუახანებში (ახ.წ) ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების პიონერის მირიან მეფის ძემ, ბაქარმა, პოლიტიკური მოსაზრებით სამშვილდის ქვეყნები აბოცითურთ რანის ქვეყანაში გაცვალა (იქვე 130-131), მაგრამ ამის შემდეგ ეს ძველისძველი ქართული ქვეყნები კვლავ დაიბრუნა საქართველომ. IX საუკუნეში აბოცსა და მის მომიჯნავე ქართულ ქვეყნებში დიდი ენერგიულობით იღწვოდა აშოტ დიდი კურაპალატის (მოიკლა 826 წ.) უმრწემესი ვაჟი გუარამ მამფალი. მძიმე დროს მოუხდა ცხოვრება გურამს, მაგრამ იგი ადვილად როდი ეპუებოდა ჟამის სიავესა და უფროს ძმებთან (ადარნასე, ბაგრატი) შესაშური თანხმობითა და თანადგომით ღირსეულად უმკლავდებოდა, როგორც გარეშე (სარკინოზნი) ისე შინაურ მტრებს. გარდაცვალების წინ გუარამმა თავისი ვრცელი სამფლობელოს დიდი ნაწილი თავის ძმებს უანდერძა, ხოლო ერთი განაპირა ქვეყანა (აბოცი) ცოლის ძმას მისცა (იქვე. გვ.257) ამით ერთხანს აბოცი მოწყდა თავის ორგანულ ნაწილს, მაგრამ შემდეგ კვლავ თავის დედა ქვეყანას დაუბრუნდა და საუკუნეთა განმავლობაში მის ჭირვარამსა თუ გამარჯვების სიხარულს იზიარებდა. XI საუკუნეში მთელ წინააზიასა და ამიერკავკასიას სელჩუკიანი თურქები შემოესივნენ და ველურთა წესით იწყეს მისი დარბევა და აოხრება. სელჩუკთა მძლავრება და თარეშები არც საქართველოს ასცდენია და არც მასში შემავალ აბოცის ქვეყანას. აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონების შემდეგ შუაზიელი მომთაბარენი ზამთარს მტკვრისა და იორის პირებში ატარებდნენ, ხოლო ზაფხულს აბოცისა და არარატის მთებზე (ქართლის ცხოვრება, IV, 1973, 157) აბოცის მშვენიერი მთები არც მონღოლებს დარჩენიათ შეუმჩნეველი. ამ ქართულ ქვეყანასა და მთელ ლიხთაქეთ საქართველოს არაერთგზის დიდი რისხვით გადაუარეს თემურ-ლენგის მომთაბარეებმაც. ერთხელ თემური აბოცის გზითაც შემოიჭრა და როგორც მას ჩვეოდა ყველაფერი ნაცარტუტად აქცია. ეს 1393 წელი იყო. ვახუშტი ბაგრატიონიც ძველ წყაროებზე დაყრდნობით შენიშნავდა: "გამოვლო აბოცი და...მოსვრიდა და მოსტყუენვიდა ყოველივე გარემოთაო" (იქვე, გვ.264) ამ ნგრევისაგან წელში გამართვაც ვერ მოსაწრო ქვეყანამ, როდესაც ყიზილბაშური ირანის დიდი ლაშქარიც წამოადგა თავს. ლაშქარს შაჰი უძღოდა და მანაც საქართველოზე თავდასასხმელად აბოცის მოხერხებული გზა აირჩია: "მოვიდა იაყუბ ყაენი, გამოვლო აბოცი და მოადგა ახალქალაქს.." (იქვე, გვ.207) ეს მოხდა 1486 წელს ყიზილბაშებიც ისევე რბევა ოხრებით შედიოდნენ საქართველოში, როგორც მათი წინამორბედები სელჩუკები, მონღოლ-თათრები, თემურის ურდოები და სხვანი და სხვანი. რბევა-თარეშები აბოცსა და მთელ საქართველოს არც XVI საუკუნეში მოკლებია. ამ დროს საქართველოს დაუფლებისათვის დიდხანს ეცილებოდნენ ერთმანეთს ძლიერების ზენიტზე მყოფი

წინააზიის უდიდესი სახელმწიფოები ირანი და ოსმალეთი. დიდი ბრძოლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მტრები საქართველოს გაყოფაზე შეთანხმდნენ. ამ შეთანხმებით აბოცი და მის აღმოსავლეთით მდებარე ქართული ქვეყნები ირანს ერგო, ხოლო დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო-ოსმალეთს. კარგა ხანს არც შემდეგ რგებია მშვიდობა აბოცს და ისიც თანდათან სულ გაუკაცრიელდა. ასე შევხდა აბოცი XVII საუკუნის 60-იან წლებს, როდესაც ამ გაპარტახებულ მხარეს მზრუნველად და მაშენებლად მოევლინა ქართლის ნიჭიერი და ენერგიული მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი (1658-1675წწ). როგორც ვახუშტი ბაგრატიონი წერდა, ვახტანგმა "ააშენა და განავსო ქართლი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, რომელსა შინა კაცნი არა იყვნენ" (იქვე, გვ.453) მანვე დიდი მუშაობა გასწია ქვეყანაში ქრისტიანობის გასაძლიერებ-ლად, ააშენა ეკლესიები და ა.შ. აბოცს არც მისი მემკვიდრე ქართლის მეფე გიორგი XI (1675-1688წწ, 1703-1709წწ) აკლებდა ყურადღებას და არც სხვა მეფეები. გიორგი XI კარგად იცოდა აბოცის საზაფხულო საძოვრების ფასი და მასზე კონტროლსაც სპეციალური მოხელის მეშვეობით ახორციელებდა. როგორც 1686 წლის მისი ერთი წყალობის წიგნიდან ჩანს, ეს მოხელე ზაალ დოლენჯიშვილი (აზნაური) გახლდათ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1188). ქართლის ამ სახელოვან მეფეს უშუალოდაც მოუვლია თვალი საქართველოს ამ მარგალიტისათვის და დამტკბარა იქ თავისი მამისა და მისი ნამუშაკევით. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც იგი აბოცის გზით, ისპაჰანისკენ მიემგზავრებოდა (ქართლის ცხოვრება, IV, გვ.474) წინამორბედთა ტრადიცი-ებს აგრძელებდა აბოცის ქართლის მეფე ერეკლე I ნაზარალიხანიც (1688-1703წწ). ისიც დიდი გულისყურით არჩევდა აბოცს სამოურავოდ განსაწესებ-ლად შეთავაზებულ მოხელეებსაც. 1692 წელს მან აბოცის ერთ-ერთი უმშვენიერესი სოფლის ბეთლემის მოურავობა ნასრიაშვილს უწყალობა, თუმცა მალე შეცვალა იგი და ბეთლემი სხვას მისცა. ვერც ეს მოურავი შერჩა დიდი ხნით სოფელს და ბოლოს იგი იასე დოლენჯაშვილს დარჩა (ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd-6042). ერეკლე პირველი აბოცის სხვა სოფლებისადმიც დიდ ყურადღებას ავლენდა. მისი წყალობის 1692 წლის წიგნში სოფელ ორთულუს განწესებული მოურავიც იხსენიება. ქართლის მეფეთა ასეთი გულისყურითა და მორჭმით აბოცი თანდათან მოშენდა და აღორძინდა, თუმცა მტრის მძლავრობა ამის შემდეგაც არაერთგზის დასტყდომია თავს ჩვენს ქვეყანას. განსაკუთრებით დიდი მტარვალობა ქართლისა და მისი ორგანული ნაწილის აბოცისადმი თამაზ-ყული ხანმა (ნადირ შაჰი) გამოავლინა. მან შესანიშნავად გაითვალისწინა აბოცის სტრატეგიული მნიშვნელობა ქართლისთვის და 1735 წელს ერთი ხელის მოსმით ჩაყარა წყალში ქართლის მეფეთა საუკუნე-ობით ნაღვაწ-ნამუშაკევი ამ ქვეყანაში - ჩვეული სივერაგით აჰყარა მთელი აბოცი და ირანის შორეულ გზას გაუყენა, როგორც ერთ დროს შაჰ-აბას პირველმა კახელები (1614, 1616). ეს იყო და მის შემდეგ ქართულ აბოცს აღარც გაუხარია და დროთა განმავლობაში ტერიტორიულადაც მოწყდა საქართვე-ლოს. დღეს იგი სომხეთის ფარგლებშია და ლუკასიანის (გუკასიანი) რაიონს

შეადგენს. აბოც - ყაიყულის ბედი ქართველთა მწარე გაკვეთილია, რომლის დავიწყება შეუძლებელია. ეს ქვეყანა თავის დროზე საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი წინაზღუდე და კარი იყო სამხრეთით. მას შემდეგ, რაც ის დაიკარგა, წინაზღუდედ ჯავახეთი იქცა. ახლა ამ ზღუდესაც იმასვე უმზადებენ, რაც აბოც - ყაიყულს ეწია.

ბაზალეთი - ისტორიული მხარე ქართლში. ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მისი საზღვრები იყო: აღმოსავლეთიდან - ბოდავის ციხე და ტინის მთა, დასავლეთიდან - გრემისხევი და ალევის მთა (ახლანდელი ალევის ქედი), ჩრდილოეთიდან - ჭართლის მთა.

ბაზალეთის პლატოზე ადამიანი ჯერ კიდევ ძველი ქვის ხანაში სახლობდა. ლეონტი მროველის ცნობით, ბაზალეთი მოაოხრეს ქართლის მესამე მეფის მირვანის დროს (ძვ.წ.III-IIს-ბი) ჩრდილოეთიდან შემოსეულმა დურძუკებმა. X საუკუნეში ბაზალეთი და მისი მიდამოები (კერძოდ ლოწობნის ციხე) საცილობელი გახდა აფხაზთა და კახთა სამეფოებს შორის. XIII საუკუნის მიწურულს მონღოლმა სარდალმა ხუტლუ-ბუღამ საქართველოს სხვა პროვინციებთან ერთად ბაზალეთიც დაარბია. არაგვის საერისთავოს წარმოშობის შემდეგ ბაზალეთი მისი პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაწინაურებული რაიონი გახდა.

ბაიდარი (მხარე) (ძვ. წყალთაშუა) - ისტორიული მხარე ქვემო ქართლში. მოიცავდა მდინარე ქციის ორივე ნაპირზე გაშლილ ველს ახლანდელი ბოლნისის რაიონის სოფელ არუხლოს (ძვ. ნახიდური) აღმოსავლეთით. XVII საუკუნეში ირანის შაჰებმა აქ თანდათან ჩამოასახლეს მაჰმადიანი ტომები, რომლებიც ცალკე სოფლებად სახლდებოდნენ და ქართველი მეფის ყმებად ითვლებოდნენ.

ბამბაკი - მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. მოიცავდა მდინარე დებედის სათავის მთიან ხეობას. იგი სტრაბონისეული გოგარენეს და სომხური წყაროების გუგარქის ანუ ქვემო ქართლის უკიდურესი სამხრეთი თემი იყო. ძვ. წ. II საუკუნეში გოგარენეს პროვინციას სომხური სამეფო დაეუფლა. მომდევნო ხანაში ბამბაკი ხან სომხეთის, ხან კი ქართლის შემადგენლობაში შედიოდა, ვიდრე იგი V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა არ შემოიერთა. IX-X საუკუნეებში ბამბაკი შედიოდა ჯერ ანისის სამეფოს, შემდეგ კი ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს შემადგენლობაში. იგი მომდევნო საუკუნეებშიც საქართველოს ფარგლებში იყო.

XVII საუკუნის დასაწყისში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ყიზილბაშური ირანის ექსპანსიის შედეგად შეიქმნა თურქმანული პოლიტიკური ერთეულები - ბორჩალოს სახანო და ლორის სასულთნო. ბამბაკი ბორჩალოს სახანოს შემადგენლობაში მოჰყვა. XVIII საუკუნის II ნახევარში იგი გამოეყო ბორჩალოს და ჩამოყალიბდა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად - ბამბაკის სამოურავოდ, რომელსაც ქართლ-კახეთის მეფის მიერ დანიშნული ქართველი მოურავი მართავდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ბამბაკი თბილი-

სის გუბერნიის ლორის მაზრის შემადგენლობაშია. XIX საუკუნის II ნახევარში ერევნის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრაში შევიდა.

ბასიანი - ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ისტორიული მესხეთის ნაწილი, მდინარე არაქსის სათავეების რაიონში (დღევანდელ თურქეთში). სახელწოდებას უკავშირებენ ბასიანების კოლხურ ტომს.

სომხეთის სამეფოს წარმოქმნისა და მისი გაფართოების შედეგად (ძვ.წ. II ს.) ბასიანი მის ფარგლებში მოექცა. უფრო გვიან იგი შეადგენდა არარატის სამეფოს ერთ-ერთ გავარს (პროვინციას). 384 წელს რომსა და ირანს შორის ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური გავლენის სფეროების განაწილების შედეგად ირანის საზღვრებში მოექცა. VII-VIII საუკუნეებში ბასიანი არაბთა სახალიფოს შემადგენლობაში შევიდა. არაბთა მფლობელობის დასუსტებისა და ქართული სამეფო-სამთავროების გაძლიერების პერიოდში ბასიანი საცილო-ბელი გახდა ბიზანტიისა და „ქართველთა სამეფოს“ შორის. მალე „ქართველთა სამეფო“ მთლიანად დაეუფლა ბასიანს. X საუკუნის I ნახევარში საზღვარი ბიზანტიასა და „ქართველთა სამეფოს“ შორის მდინარე არაქსზე დაიდო და ბასიანის ჩრდილოეთი ნაწილი ქართველ ბაგრატიონთა მფლობელობაში დარჩა. 1001 წელს დავით კურაპალატის პრობლემატური მემკვიდრეობის გამო ბიზანტიასთან კონფლიქტის შედეგად იმიერ-ტაო და ბასიანი ბთლიანად ბიზანტიელთა მფლობელობაში გადავიდა. ქართველები დაჟინებით ცდილობ-დნენ ბასიანის დაბრუნებას ბიზანტიელთაგან, შემდეგ თურქ-სელჩუკთაგან. XII საუკუნიდან ბასიანი კვლავ ფეოდალური საქართველოს მონარქიის ფარგლებში შედიოდა. 1203 წელს ბასიანში ქართველთა ლაშქარმა სძლია თურქ-სელჩუკებს. 1545 წელს ბასიანი ოსმალებმა მიიტაცეს. XVII საუკუნიდან იგი არზრუმის ვილაიეთის ერთ-ერთი რიგითი სანჯაყია.

ბორჩალო - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე. სახელწო-დება მომდინარეობს დებედის ხეობაში XVII საუკუნეში ჩამოსახლებული თურქმანული ტომის ბორჩალუსაგან. 1604 წელს შაჰ აბასმა აქ სახანო შექმნა, რომელიც XVIII ს-ში ქართლს დაუბრუნდა. 1880 წელს ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ბორჩალოს მაზრა ცენტრით დაბა შულავერში. იგი მოიცავდა წალკის, მანგლისის, თეთრი წყაროს, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის ტერიტორიას, აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე რაიონს.

გაგი - ისტორიული მხარე (სანაპირო) საქართველოში, ცენტრი გაგის ციხე. გაგი დაახლოებით ემთხვეოდა ძველი გარდაბნის პროვინციას და XIII საუკუნის დასაწყისისათვის მოიცავდა ტერიტორიას მდინარე დებედიდან ქ. შამქორამდე (აზერბაიჯანი), მდინარე მტკვარსა და განჯის მთებს შორის. გაგის პროვინციაში მოხდა საქართველოს ლაშქრის პირველი ბრძოლა მონღოლებთან 1220 წელს, რომელთაც მალე გაგის ციხე დაიკავეს.

გარეკახეთი - ისტორიული სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე, მდინარე ივრის შუა დინებაზე, ერწოდან ქიზიყამდე. ტერიტორიულად დაახლოებით ემთხვევა ახლანდელი საგარეჯოს რაიონს.

გარდაბანი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ქვემო ქართლის ნაწილი. ცენტრი ხუნანი.

იგი ძველი ქართლის სამეფოს განაპირა პროვინციას წარმოადგენდა. გარდაბანი მოიცავდა მდინარეების ძეგამ-ჩაის, თოუზ-ჩაის, აღსთაფ-ჩაის აუზებს (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია) და ქციის და ალგეთის უკიდურესი ქვემო წელის ველს (დღევანდელი საქართველოს ტერიტორია). ამ ტერიტორიაზე არსებობდა ჯერ ხუნანის შემდეგ გაგის საერისთავოები.

გარდმანი - კავკასიის ალბანეთის და ძველი საქართველოს ერთ-ერთი პროვინცია. ტერიტორიულად მოიცავდა ძირითადად მდინარე შამქორ-ჩაის ხეობას (აზერბაიჯანი), ცენტრი იყო გარდმანის ციხე (სომხურად გარდმან-ბერდი). ციხის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი ხეობის ზემო ნაწილში.

ქართული ისტორიული წყაროებით ალბანეთის გარდმანის დასახელება, ჩვეულებრივ, ემთხვევა საკუთრივ ქართლის პროვინცია გარდაბანის სახელ-წოდებას. ქართლის და ალბანეთის პროვინციების სახელწობათა საერთო წარმომავლობა უეჭველია და მოწმობს გარკვეულ პერიოდში მათ პოლიტიკურ და შესაძლებელია, ეთნიკურ ერთიანობას.

პირველად წყაროებში გარდმანი IV საუკუნეში იხსენიება. თავდაპირ-ველად იგი უეჭველია ხუნანის საერისთავოში შედიოდა მოყოლებული ფარნავაზის დროიდად და ჯერ იბერიის მეფეებს, შემდეგ ქართლის ერისმთავრებს ექვემდებარებოდა. VII საუკუნის დასაწყიში სპარსეთმა იგი ქართლის საერისმთავროს ჩამოაჭრა და ალბანეთის მარზპან მიჰრანიდებს გადაცა, რომლებმაც 628-705 წლებში ალბანეთის სამეფო აღადგინეს.

VIII-IX საუკუნეებში, კახეთის სამთავროს შექმნის პირველ პერიოდში, გარდმანი მის შემადგენლობაში მყოფი გარდაბნის საერისთავოში შედიოდა. IX საუკუნის II ნახევარში კი კვლავ დამოუკიდებელი სამთავრო გახდა. X საუკუნის დამდეგს გარდმანს ანისის სამეფო დაეუფლა. X საუკუნის ბოლოს იგი შედადიანების მიერ შექმნილი განძის საამიროში შედიოდა, XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დამდეგს საქართველოს ნაწილი იყო, კერძოდ, ვარამ გაგელის საგამგებლოს - გაგის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა. ამ პერიოდ-შივეა დამოწმებული გარდმანის მეორე სახელწოდებაც - „ქართმანიკი“.

გაღმამხარი - ისტორიული მხარე კახეთში. მოიცავდა ძველი ჰერეთის ტერიტორიის ნაწილს, რომელიც მოქცეული იყო მდინარე ალაზანსა და კავკასიონის ქედს შორის. ეს ტერიტორია შიდა კახეთის მიმართ „გაღმამხარი“ იყო. ეკონომიურად იგი კახეთის ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ კუთხეს წარმოადგენდა. განსაკუთრებით განვითარებული იყო მევენახეობა და მეაბრეშუმეობა. გაღმამხარის დაწინაურებაში დიდი როლი ითამაშა მისმა სიახლოვემ გილან-შემახიის სავაჭრო გზასთან. ეკონომიურმა განვითარებამ განაპირობა გვიანი ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრის გაღმამხარში (გრემში) გადანაცვლება. XVII-XVIII საუკუნეებში გაღმამხარის ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა ირანის შაჰის აბას I-ის ლაშქრობებმა და დაღესტნელ ფეოდალთა თავდასხმებმა. ეს მხარე დიდხანს გაუკაცრიელებული

და აოხრებული იყო. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით გაღმამხარი მოიცავს ლაგოდეხის, ყვარლისა და ნაწილობრივ თელავის რაიონების ტერიტორიას.

გაღმამხარი - ისტორიული მხარე ქართლში. სახელწოდება გვხვდება გვიანდელი ფეოდალური ხანის საბუთებში. ზოგი მკვლევარის აზრით, გაღმამხარი ეწოდებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირს ტაშისკარიდან მცხეთამდე, ზოგის აზრით კი - გვიანდელი ფეოდალური ხანის სათავადოს - საციციანოს. ქართლის მოსახლეობა დღეს გაღმამხარს უწოდებს ისტორიული საციციანოს ტერიტორიას.

გაჩიანი - ქალაქი და მხარე ისტორიულ ქვემო ქართლში. ქალაქის ზუსტი ადგილმდებარეობა დაუდგენელია. ვახუშტის (XVIIIს.) მიაჩნდა, რომ იგი მდინარეების მაშავერ - ქციის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. ლეონტი მროველის (XI ს.) მიხედვით, ქართველთა ლეგენდარულმა მამამთავარმა ქართლოსმა თავის ერთ-ერთ ძეს, გაჩიოს მისცა ქალაქი სამშვილდე და ქვემო ქართლის ნაწილი მდინარე ვერიდან მოყოლებული აბოცის მთამდე. გაჩიოს აუშენებია ქალაქი გაჩიანი, რომელსაც ძველად სანადირო ქალაქი ერქვა.

გაჩიანის მხარე, ანუ სამშვილდის საერისთავო, ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სანაპირო საერისთავო იყო. X საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი უხტანესი ქალაქ გაჩიანს ვრაცდაშთში („ქართველთა ველში“) ათავსებდა და იგი ცურტავის მერმინდელ სახელად მიაჩნდა. გაჩიანის მხარე ანუ სამშვილდის საერისთავო ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განაპირა საერისთავო იყო.

გოგარენე - ისტორიული ქვემო ქართლის ბერძნული სახელწოდება, სომხურად - გუგარქი. პირველად მოხსენიებული აქვს სტრაბონს ძვ.წ.63–ახ.წ.23) როგორ იბერიის პროვინცია, რომელიც ძვ.წ. II საუკუნეში სომხეთის სამეფომ შეიერთა. სახელწოდება უნდა მოდიოდეს ქართველი ტომის - გუგარებისაგან. ძვ. წ. I საუკუნეში აქ იქმნება საპიტიახშო. I-II საუკუნეებში გოგარენე ქართლის შემადგენლობაშია, მოგვიანებით ისევ სომხეთმა შეიერთა. IV საუკუნის ბოლოს გოგარენეს ჩრდილოეთი ნაწილი ქართლის სამეფომ დაიბრუნა. გუგაქრის პიტიახშს სომხურ წყაროებში ქართლის პიტიახშიც ეწოდება.

ტერიტორიულად გოგარენეს პროვინცია არსებითად მდინარეების ალგეთის, ქციისა და დებედის აუზებით ისაზღვრებოდა, თუმცა გუგარქის საპიტიახშოს ტერიტორია სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოცულობისა იყო. ცნობილი სომხური გეოგრაფიული თხზულების „აშხარჰაცუიცის“ (VII ს.) ცნობების მიხედვით, რომლებიც გაცილებით უფრო ძველ ვითარებას ასახავენ, გუგარქის საპიტიახშო მთლიანად მოიცავდა იბერიის სამეფოს სამხრეთ პროვინციებს კლარჯეთიდან ხუნანამდე. გოგარენე-გუგარქის ტერიტორია გაფართოების ამსახველ ფაქტად მიაჩნიათ ქართული ტოპონიმი გუჯარეთი. ძველი ქართული ადმინისტრაციული დანაწილებით საკუთრივ გოგარენე-

გუგარქის გეოგრაფიული რეგიონი ემთხვეოდა სამშვილდის საერისთავოს ტერიტორიას.

გუდამაყარი - აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი მდებარეობს მდინარე გუდამაყრის არაგვის ხეობაში. დასავლეთით მას ესაზღვრება მთიულეთი, ჩრდილოეთით - ხევი, აღმოსავლეთით - ხევსურეთი და ფშავი, სამხრეთით - ხანდო და ჭართალი. გუდამაყარი ხევისგან გამოყოფი- ლია კავკასიონის მთავარი ქედით, ხოლო ფშავ-ხევსურეთისაგან - გუდამაყრის ქედით. ამ ქედზე გადიოდა გვიანდელი ხანის ქართლისა და კახეთის სამეფოთა საზღვარი, გუდამაყრელებს იხსენიებს ლეონტი მროველი (XIს.) ქართლის გაქრისტიანების ისტორიასთან (IVს.) დაკავშირებით - ქართველთა განმანათლებელი ნინო სხვა მთიელებთან ერთად წობენში მათ ქრისტიანობას უქადაგებდა. გუდამაყარიდან იყო ცნობილი მწერალი და რეჟისორი გოდერძი ჩოხელი. იგი თავის არაერთ ნაწარმოებში იხსენიებს მშობლიურ მხარეს.

გუდამაყარში მეურნეობის წამყვანი დარგი იმთავითვე იყო მეცხოველეობა. გუდამაყრის მხარის ისტორიულ ძეგლთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრინდელი ფეოდალური ხანის მახვილის ციხე, რომელიც ბაკურხევის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს, მახვილივით აზიდულ მთაზე, და პირიმზის ფუძის ანგელოზის ეკლესია სოფელ ჩოხში. გუდამაყრის ხეობაზე გადიოდა საქართველოს თანამედროვე სამხედრო გზის ერთ-ერთი განშტოება, რომელიც არაგვის ხეობას ხევთან აკავშირებდა. ფეოდალურ ხანაში გუდამაყარი არაგვის საერისთავოში შედიოდა. XIX საუკუნეში იგი დუშეთის მაზრის შემადგენლობაში იყო. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით გუდამაყრის ტერიტორია შედის მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის რაიონში, გუდამაყრის საკრებულოში.

გუჯარეთი - (მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, ახლანდელი ბორჯომის რაიონის ტერიტორიის ნაწილი. აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალით (კოლხური ცულის ყალიბი, ზოდები, თოხები) დასტურდება, რომ გუჯარეთის ხევი ადამიანის მიერ ბრინჯაოს ხანიდან იყო ათვისებული, ისტორიულ წარსულში გუჯარეთი შედიოდა თორის მხარეში. მონღოლთა ბატონობის პერიოდიდან დაკნინდა. XIV საუკუნეში სამეფო მამული იყო. XV საუკუნიდან ციციშვილთა ფეოდალური საგვარეულო ფლობდა. XVI საუკუნის ბოლოს გუჯარეთი ოსმალებმა დაიკავეს. მათი მფლობელობის პერიოდში ამ მხარის მოსახლეობა თითქმის მთლიანად შიდა ქართლში გადასახლდა. ოსმალთა განდევნის შემდეგ, XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ამ მხარის ხელახალი დასახლება. მატერიალური კულტურის ძეგლთაგან აღსანიშნავია უზნარიანის, თოთხამის, მომწვარასი და სარბიელას ციხეები, ტიმოთესუბნის, დაბის, მაღალჯვარისა და სხვა მრავალი დიდი თუ მცირე ეკლესია-სამლოცველო და გამოქვაბულ-სახიზარი.

გუჯარეთზე გადიოდა გზები, რომლებიც ჯავახეთსა და თრიალეთს შიდა ქართლთან აკავშირებდა.

დვალეთი - ისტორიული მხარე შუა საუუნეების საქართველოში, ტერიტორიულად მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის. ისტორიკოს ვახუშტი ბაგრატიონს (XVIIIს.) მოხსენიებული აქვს დვალეთის ხევები: კასრისხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა, თრუსი მაღრან-დვალეთი. ქართული საისტორიო ტრადიციით ეს ტერიტორია იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის (ძვ. წ. IV - ძვ. წ. III სს.) დროიდან შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში.VI საუკუნის შუა წლებიდან დვალეთში ქრისტიანობა გავრცელდა. შემდგომში იგი ნიქოზის საეპისკოპოსო ეპარქიაში შედიოდა. დვალეთზე გადიოდა ამიერკავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალი გზა-გადასასვლელები. შუა საუკუნეებში ცნობილი იყო „გზა დვალეთისა“. საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დვალეთის ხეობების გამაგრებას ჩრდილოეთიდან.

მონღოლთა შემოსევების (XIIIს.) შემდეგ დვალეთში სახლდებოდა ჩრდილოეთიდან დევნილი ოსური მოსახლეობა. დვალეთის მკვიდრი მოსახლეობა (დვალები) კი, თავის მხრივ მასობრივად გადმოდიოდა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის (XVს.) შემდეგაც დვალეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. XVII საუკუნის დასაწყისში მისი მოურავი იყო გიორგი სააკაძე. დვალელ მოღვაწეთაგან ცნობილნი არიან XI საუკუნის სასულიერო პირნი: მიქელ დვალი, იოანე დვალი და სვიმონ დვალი.

დვალეთის მატერიალური კულტურის ძეგლთაგან ჩვენამდე მოაღწია: მდინარეების არდონისა და ფიაგდონის სათავეებში აგებულმა სიმაგრეებმა - კასრისკარმა და ხილკამ; ზრგოსა და მამისონის ხეობებში ქრისტიანული ტაძრების ნანგრევებმა და სხვა.

დვალები - იბერიულ-კავკასიური ტომი ძველ საქართველოში. ანტიკურ წყაროებში (პლინიუს უფროსი, პტოლემე) პირველად მოხსენიებული არიან ახ. წ. I-II საუკუნეებში თალის, ვალის, უალის სახელწოდებებით. სახლობდნენ ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზოლში — დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის — ისტორიულ დვალეთში.

მეცნიერები დვალურ ენას აკავშირებენ (ინგუშურ-ჩაჩნურ) და ქართველურ (ზანურ) ენებთან. დვალები ადრინდელი შუა საუკუნეებამდე მოექცნენ ერთიან ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ გარემოში. VI საუკუნიდან დვალებში ქართველი მისიონერები ქრისტიანობას ავრცელებდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში მონღოლთა შემოსევების (XII ს.) შედეგად კავკასიონის მთიან ზოლში დაიწყო მიგრაციის პროცესი; დვალეთში სახლდებოდა ოსური მოსახლეობა, დვალები კი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე გადმოდიოდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის დვალების ასიმილაციის პროცესი დასრულდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეერწყა ქართლის, რაჭისა და იმერეთის მოსახლეობას, დვალეთში დარჩენილი დიდი ნაწილი კი - ოს მოახალშენეებს.

დიღმისხევი - ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთული შუა საუკუნეების საქართველოში. ცენტრი - დიღომი.

დმანისხევი, დბანისხევი - ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, აღმოსავლეთ-ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში, ახლანდელი ბოლნისისა და დმანისის რაიონების ტერიტორიაზე, მაშავერის ხეობის ადრინდელი სახელწოდება.

ელისენი - ენისელი, მხარე ფეოდალური ხანის საქართველოში, ისტორიული ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი. მოიცავდა მდინარეებს ბელაქნისწყალსა, გიშისწყალსა, ალაზანსა და კავკასიონის ქედს შორის მდებარე მიწებს (XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან საზღვრის ერთმა მხარემ გიშისწყლიდან ქურმუხისწყალზე გადაინაცვლა, რადგან აქ ამ დროისათვის ძირითადად უკვე ლეკი მოსახლეობა იყო). სახელწოდებას უკავშირებენ მისიონერ ელისეს, რომელიც, სომეხი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატვაცის (Xს.) ცნობით, ახ. წ. I საუკუნეში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ქრისტი- ანობას ქადაგებდა. V საუკუნიდან ელისენი ჰერეთის საერისთავოს ნაწილს წარმოადგენდა და პოლიტიკურად საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. VIII საუკუნეში ერისმთავარი არჩილი ამ ტერიტორიაზე კულტურულ აღმშენებლობას ეწეოდა. XI საუკუნეში, კახეთის საერისთავოებად დაყოფის დროს, ელისენი მაჭის საერისთავოს შემადგენლობაში მოექცა. XV საუკუნის II ნახევარში კახეთის მეფე გიორგი VIII-მ აქ სამოურავო შექმნა. XVI საუკუნიდან ელისენში დაღესტნიდან გადმოსული ლეკი მოახალშენენი სახლდებიან. მხარის ნაწილობრივმა ეთნიკურმა ცვლილებამ ელისენს არ დაუკარგა ადრინდელი პოლიტიკური შინაარსი, იგი კვლავინდებურად ქართველი მეფეების ხელისუფლებას ემორჩილებოდა.

XVII საუკუნის დასაწყისში ელისენის აღმოსავლეთი ნაწილი ახლად წარმოქმნილი მაჰმადიანური პოლიტიკური ერთულის ელისუს სასულთნოს შემადგენლობაში მოექცა. კახეთში ყიზილბაში ხანების მმართველობის ხანაში (1677-1703წწ) მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, როგორც კაკში, ისე ელისენში ლეკი მოახალშენენი უკვე კომპაქტურად სახლდებოდნენ, მკვიდრ ქართულ მოსახლეობაში კი დაიწყო იძულებითი გამაჰმადიანების პროცესი. 1803 წლიდან ელისენი ჭარ-ბელაქნის „თავისუფალ თემებთან“ ერთად დამოკიდებული გახდა რუსეთის იმპერიაზე. 1830 წლიდან კი საბოლოოდ შევიდა მის შემადგენლობაში როგორც ჭარ-ბელაქნის ოლქის (შემდგომში ოკრუგის) ნაწილი. 1921 წლიდან ისტორიული ელისენი დანარჩენ საინგილოსთან ერთად აზერბაიჯანის ფარგლებშია.

ერუშეთი - ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში, არტაანის ჩრდილოეთით (ახლანდელი თურქეთის საზღვრებში). მოიცავდა ტერიტორიას არსიანის ქედსა და ნიალის ველს შორის. სახელი ეწოდა მხარის ცენტრალური პუნქტის მიხედვით. ქართლის სამეფოს უძველესი ადმინისტრაციული დანაწილებით, ერუშეთი არტაანთან ერთად წუნდის საერისთავოში შედიოდა.

ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, საქართველოში პირველი ქრისტიანული ტაძარი ერუშეთში ააგეს (IV ს.). შემდგომში (V ს.) ვახტანგ გორგასალს აქ საეპისკოპოსო კათედრა დაუარსებია. XVI საუკუნეში ერუშნელი ეპისკოპოსის ეპარქიაში ერუშეთის გარდა არტაანის მხარის მტკვრის მარცხენა სანაპიროც შედიოდა. XVI საუკუნიდან ერუშეთი სამხრეთ საქართველო სხვა პროვინციებთან ერთად ოსმალთა მფლობელობაში გადავიდა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების (1878) და ბერლინის კონგრესის (1878) თანახმად, ერუშეთი რუსეთის იმპერიას გადაეცა, შემდგომში მას კვლავ ოსმალეთი დაეუფლა.

ერწო-თიანეთი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავს მდინარე ივრის ზემოთის ზეგანს (თიანეთის რაიონი). ისტორიულად წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ორ ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს - ერწოსა და თიანეთს. მათ ერთობლივი ისტორიული განვითარებისა და მჭიდრო კავშირის გამო ისინი უძველეს წყაროებშივე ერთად მოიხსენიებიან.

ერწო-თიანეთი ადმინისტრაციულად კახეთის საერისთავოში შედიოდა. ქართული ტრადიციის თანახმად, IV საუკუნეში ქართველთა განმანათლებელი ნინო აქ ქრისტიანობას ქადაგებდა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ერწო-თიანეთს დიდ სტრატეგიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. აქ გადიოდა ერთ-ერთი განშტოება სავაჭრო მაგისტრალისა, რომელიც ქართლის ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფოს ალბანეთთან და სომხეთ-თან აკავშირებდა. გარკვეულ პერიოდში თიანეთი იყო პლაცდარმი, საიდანაც ქართლის სამეფო პოლიტიკურ და კულტურულ ზეგავლენას ახდენდა კავკასიის მთიანეთზე. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლაში „აფხაზთა მეფეები“, პირველ რიგში, თიანეთის დაპყრობით ცდილობდნენ კახეთი თავიანთი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცათ. XIII საუკუნეში ერწო-თიანეთი არაერთხელ დალაშქრეს მონღოლებმა. XV საუკუ-ნეში, ერთიანი საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ, ერწო-თიანეთი კახეთის სამეფოს ერთ-ერთი სამოურავო გახდა. იგი ხშირად საცილობელი ტერიტორიაა კახეთის სამეფოსა და არაგვის საერისთავოს შორის. ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის ეკონომიკური ინტერე-სები ძირითადად ერწო-თიანეთთან იყო დაკავშირებული, ამიტომაცაა იგი ძირითადად მთიელი ქართველებით დასახლებული. თანამედროვე ადმინის-ტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ერწო-თიანეთი შედის მცხეთა-მთიანე-თის მხარის თიანეთის რაიონში.

ზემო ქართლი - ასე ეწოდებოდა XVI საუკუნემდე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს - მტკვრის ზემოთს ტაშისკარიდან მდინარე მტკვრის სათავემდე და ჭოროხის აუზის ზემო წელს. ეს ტერმინი წყაროში პირველად XII საუკუნეში იხსენიება, მაგრამ გაცილებით ადრინდელი უნდა იყოს. ლეონტი მროველის (XI ს.) მიხედვით, ზემო ქართლი ქართველთა ლეგენდა-რული მამამთავრის ქართლოსის უფროსი ძის მცხეთოსის შვილების ოძრხოსის

და ჯავახოსის წილხდომილი მხარეა. იგი მესხების და ჯავახების თავდაპირველი განსახლების ტერიტორიაა. ანტიკური წყაროების მიხედვით (სტრაბონი), ამ ტერიტორიას „მოსხიკე“ (ქართულად მესხეთი) ეწოდებოდა. ზემო ქართლში შედიოდა შემდეგი ერთეულები: სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი და კოლა - მტკვრის ზემო წელზე: კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი - ჭოროხის ზემო წელზე. VIII-IX საუკუნეებში ზემო ქართლის ტერიტორიზე ჩამოყალიბდა ქართველ ბაგრატიონთა საკურაპალატო (IX საუკუნის დასასრულიდან - სამეფო). XII-XIII საუკუნეებში ამ მხარის ფეოდალური მფლობელები იყვნენ თორელები, ჯაყელები, ფანასკერტელები. XV საუკუნის II ნახევარში ჯაყელების საგვარეულოს მეთაურობით ზემო ქართლი დამოუკიდებელ სამთავროდ (სამცხე-საათაბაგო) ჩამოყალიბდა, რომლის ცენტრიც ახალციხე იყო. XVI საუკუნეში ეს ტერიტორია თანდათან ოსმალეთმა დაიპყრო და აქ თავისი ადმინისტრაციული ერთეული - ახალციხის საფაშო შექმნა. XVI საუკუნიდან ასე ეწოდებოდა ძვ. შიდა ქართლის ტერიტორიას, უფრო მის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილს. ვახუშტის მიხედვით XVIII საუკუნეში შიდა ქართლი შეადგენდა მეორე სასპასპეტოს, რომლის ცენტრი ქალაქი გორი იყო.

ზემო ქვეყანა, ზემო მხარი - ისტორიული მხარე იმერეთში, იმერეთის სამეფოს მეორე სადროშო. ისაზღვრებოდა: აღმოსავლეთით ლიხის ქედით, ჩრდილოეთით რაჭის ქედით, სამხრეთით აჭარა-იმერეთს ქედით. მოიცავდა ყოფილი არგვეთის საერისთავოს დიდ ნაწილს. ზემო ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აბაშიძეთა და წერეთელთა ფეოდალური საგვარეულოს ეკუთვნოდა, სადროშოს სარდლებიც ჩვეულებრივ ამ საგვარეულოებიდან გამოდიოდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისში ზემო ქვეყნის ერთი ნაწილი, ხეფინისხევი და ჩხერიმელის ხეობის ზემოთი, ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

ზენა სოფელი - ისტორიული მხარე ქართლში გვიანდელი შიდა ქართლის ნაწილი. მოიცავდა მდ. მტკვრის შუა წელის აუზს, რომელსაც აღმოსავლეთიდან მდინარე არაგვი და არმაზის ხევი ესაზღვრება, დასავლეთიდან - ლიხის ქედი, სამხრეთიდან - თრიალეთის ქედი, ჩრდილოეთიდან - კავკასიონი.

თორთომი - თორთუმი, პროვინცია ისტორიულ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ამჟამად თურქეთის ტერიტორია). ცენტრი თორთომის ციხე (ნანგრევებიღაა შემორჩენილი მდინარე თორთომის შუა წელზე). მოიცავდა მდინარე ოლთისის (თურქულად ოლთუ-ჩაი) შენაკად მდინარე თორთომის (თურქულად თორთუმ-ჩაი) ხეობას.

თორთომი ტაოს მხარეში შედიოდა. ეკლესიურად ექვემდებარებოდა იშხნის ეპისკოპოსს. აქ იყო ქართული კულტურის მძლავრი კერები - ოშკისა და ხახულის მონასტრები. თავისი მდებარეობის გამო თორთომს ერთ-ერთ პირველს უხდებოდა სამხრეთიდან შემოსეული მტრის იერიშის მოგერიება. XIII საუკუნეში ტაოს ერისთავმა თაყა ფანასკერტელმა თორთომის ციხესთან დაამარცხა თურქთა მომთაბარე ტომები. შემდგომში თორთომი სამცხე-

საათაბაგოს შემადგენლობაში შედიოდა. XVI საუკუნეში მას საქართველოს სხვა ტერიტორიის ნაწილთან ერთად ოსმალეთი დაეუფლა.

თორი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, ისტორიული მესხეთის ნაწილი. როგორც ცნობილია, სამცხე იწყებოდა ტაშისკარიდან. იგი მოიცავს გუჯარეთისა და შავწყალას ხეობებს და მტკვრის ორივე ნაპირს ტაშისკარიდან დვირამდე. სახელწოდება წარმოდგება დაბა თორისგან. შუა ფეოდალურ ხანაში თორი ცალკე სადროშო იყო, რომელსაც სათავეში ედგა თორელთა საგვარეულო. შემდგომში იგი ათაბაგების გამგებლობაში შედიოდა, XVI საუკუნეში ოსმალებმა დაიპყრეს. XVII-XVIII ს-ში თორი ქართლის სამეფომ დაიბრუნა. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით თორი მოიცავს სამცხე-ჯავახეთის მხარის ბორჯომის რაიონის ტერიტორიას.

თრიალეთი (მხარე) - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, ქვემო ქართლის ნაწილი. წყაროებში პირველად მოიხსენიება I საუკუნეში რომაელ ავტორ პლინიუს უფროსთან. მოიცავდა მდინარე ქციის ზემო წელსა და შავწყაროსწყლის ხეობებს (ახლანდელი წალკისა და დმანისის რაიონების ტერიტორიაზე). სხვადასხვა პერიოდებში შედიოდა სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების (სამშვილდის და კლდეკარის საერისთავოები, თბილისის საამირო და სხვა) შემადგენლობაში. XIII საუკუნიდან მოყოლებული თანდათან დაიცალა მკვიდრი მოსახლეობისაგან. XIX საუკუნეში მათ ადგილზე თურქეთიდან დევნილი სომხური და ბერძნული მოსახლეობა მოვიდა. თანამედროვე შინაარსით ტერმინი „თრიალეთი“ გულისხმობს ქვემო ქართლის მხარის წალკის რაიონის ტერიტორიას.

თუშეთი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მის ჩრდილოეთ კალთაზე. აღმოსავლეთით თუშეთს საზღვრავს დაღესტანი, დასავლეთით ფშავი და ხევსურეთი, ჩრდილოეთით ჩეჩნეთი, სამხრეთით კახეთი. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „თუშეთს უკავია ორი ხევი - გომეწრისა და პირიქითისა. გომეწრის ხევი აერთიანებს წოვათის და გომეწრის თემებს, ხოლო პირიქითისა - პირიქით და ჩაღმა თემებს“.

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით თუშეთის მთელი ტერიტორია კახეთის მხარის ახმეტის რაიონში შედის და 10 სოფელს მოიცავს, სადაც მუდმივი მოსახლეობა შემორჩა. თუშეთის ცენტრად ითვლება სოფელი ომალო. თუშეთს ზოგჯერ მთათუშეთსაც უწოდებენ, რადგან თუშები ბარშიც სახლობენ, კერძოდ ახმეტისა და თელავის რაიონებში. მაგრამ „ბარის თუშეთი“ სინამდვილეში კახეთია, ამიტომ ტერმინი „მთათუშეთი“ არც ისტორიულადაა გამართლებელი და ვერც თანამედროვე ვითარებას ასახავს. თუშეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ადმინისტრაციულად იგი შედის ახმეტის რაიონში

კამბეჩოვანი, კამბეჩანი, კამბეჩიანი - მხარე შუა საუკუნეების საქართველოში, კახეთში, მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ალაზნის ქვემო

წელსა და მდინარე მტკვარს შორის. ცენტრი ხორნაბუჯი, ანტიკურ წყაროებში მოხსენებულია სტრაბონთან (ძვ.წ. I - ახ.წ. I სს.) როგორც კამბისენე. ძვ.წ. IV საუკუნიდან ახ.წ. V საუკუნის 60-იან წლებამდე (თუ ტიგრან დიდის ეპოქას არ ჩავთვლით, როდესაც სომხეთმა შეიერთა) კამბეჩოვანი ალბანელებს ეკავათ. აქ ერთმანეთს ემიჯნებოდნენ იბერიელები (აღმოსავლეთ ქართველები), ალბანელები და სომხები. კამბეჩოვანის გამო ხშირად ეცილებოდნენ ერთმანეთს იბერიისა და ალბანეთის სახელმწიფოები. V საუკუნის 60-იან წლებში მხარე ვახტანგ გორგასალმა შემოიერთა და აქ ხორნაბუჯის საეპისკოპოსო დააარსა, კამბეჩოვანი მკვიდრად შევიდა ქართული კულტურული და პოლიტიკური გავლენის სფეროში. VI საუკუნეში, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, კამბეჩოვანი სპარსელთა მოხელეს ემორჩილებოდა. დაახლ. 572 წ. გუარამ კურაპალატის ძმებმა მოკლეს სპარსეთის მოხელე და ამ მხარეში გაბატონდნენ, თუმცა 591 წ. ჯერ სპარსეთის, ხოლო მათმა შთამომავლებმა 654 წელს არაბების უზენაესობა აღიარეს. ამ დროისთვის ტერიტორია თანდათან შემცირდა და უკვე მდინარეებს იორსა და ალაზანს შორის მიწებს მოიცავდა. IX საუკუნიდან კამბეჩოვანი ჰერეთის სამთავროს შემადგენელი ნაწილი იყო. XI საუკუნის დასაწყისში, კახეთისა და ჰერეთის გაერთიანების შემდეგ, კახეთის სამეფოს საერისთავო გახდა. XII საუკუნეში გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოში კამბეჩოვანი ერთ-ერთი სანაპირო საერისთავოა. XIII საუკუნის დასაწყისში იგი რამდენიმეჯერ ააოხრეს ხვარაზმელებმა, შემდეგ - მონღოლებმა. XV საუკუნის ბოლოდან ისტორიულ კამბეჩოვანი ქიზიყად იწოდება.

კანგარი - ისტორიული ქვემო ქართლის (გოგარენეს) უკიდურესი სამხრეთი მხარე. მოიცავდა მდინარე დებედის (ქურდვაჭრისხევის) სათავეებში მდებარე ტერიტორიას (დღევანდელი სომხეთი). კანგარის უძველესი ცენტრი უნდა ყოფილიყო დაბა გოგარანი (დღევანდელი გუგარქი). V საუკუნის 80-იან წლებში მეფე ვახტანგ გორგასალი ქართლის ლაშქრით აქ შეხვდა მსხვილ სომეხ ნახარარს (ფეოდალს) ვაჰან მამიკონიანს, სპარსელებთან ერთობლივი ბრძოლის წინ.

კოლა - ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული მესხეთის ნაწილი. იგი მოიცავს მტკვრის სათავეების ქვაბულს. სახელწოდება წარმოდგება კოლხას ტომის სახელისაგან. უძველესი აბორიგენული მოსახლეობა დასავლურ-ქართული იქნებოდა. ძვ. წ. IV საუკუნეში შედიოდა წუნდის საერისთავოში, ძვ. წ. II-I სს-ში სომხეთის სამეფოს მფლობელობაშია, ახ. წ.-ის I-II სს-ში - იბერიაში. შემდეგ V საუკუნემდე კვლავ სომხეთს ეკუთვნის. IX-XI სს-ში ქართველთა საკურაპალატოშია, XVI ს-დან ოსმალეთის მიერაა მიტაცებული. 1918-21 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაშია. 1921 წლიდან კი ისევ თურქეთის საზღვრებშია.

კოლბოფორი - ისტორიული ქვემო ქართლის (გოგარენე), კერძოდ, ძველი გარდაბნის საერისთავოს ერთ-ერთი მხარე, მოიცავდა მდინარე ინჯასუს ხეობას (სომხეთი), ცენტრი - დაბა კოლბი (ახლანდელი სოფელი კოხბი).

სოფლის მახლობლად არის ციხის (სავარაუდოთ, შუა საუკუნეების კაიწონის ციხე) ნანგრევები.

კუხეთი - ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. ტერიტორიულად მოიცავდა მდინარეების არაგვისა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჟინვალიდან გარეჯის უდაბნომდე. ცენტრი იყო ქალაქი რუსთავი. ცნობილია აგრეთვე სხვა ცენტრებიც - კაწარეთი და ბოდბე. გადმოცემით, მეფე ფარნავაზ I-ის (ძვ. წ. III ს.) დროს კუხეთი კახეთთან ერთად ერთ საერისთავოს წარმოადგენდა. შემდგომშიც იგი ადმინისტრაციულად კახეთთან იყო დაკავშირებული, თუმცა, გარკვეულ პერიოდებში ცალკე საგანმგებლოც სჩანს. VIII საუკუნის 80-იან წლებში კუხეთი, როგორს საერისთავო, ახალწარმოქმნილ კახეთის სამთავროში შევიდა. არის მონაცემები, რომ X-XI საუკუნეებში კუხეთის ნაწილი ქ. რუსთავიანად თბილისის საამიროში შედიოდა. კუხეთი წყაროებში უკანასკნელად მოიხსენიება XII საუკუნეში, ამჯერად - როგორც გეოგრაფიული ცნება. XV საუკუნის ბოლოს კი ყოფილი კუხეთის ტერიტორია უკვე კახეთად იწოდება. ქართველთა განმანათლებელმა წმ. ნინომ კაწარეთში მოაქცია ქრისტიანობაზე კუხელები. წმ. ნინო სწორე აქ, კუხეთში, ბოდის მონასტერშია დაკრძალული.

ლაზიკა - ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში. ფეოდალური ხანის ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი პროვინცია. მოიცავდა ტერიტორიას მდ. რიონის ქვემო დინებასა და მდ. ჭოროხის შესართავს შორის (გვიანდელი გურია, საჯავახო - საჩინოს ჩათვლით და შავი ზღვის აჭარის სანაპირო მხარე). უკანასკნელად მოიხსენიება VII საუკუნეში ანონიმური ავტორის „სომხურ გეოგრაფიაში“. ბიზანტიელი ავტორები დასავლეთ საქართველოს ლაზიკის სამეფოს უწოდებდნენ. პროკოპი კესარიელის (VI საუკუნე) მიხედვით, ლაზიკა-გურიის ტერიტორია სრულიად დაუსახლებელი ყოფილა, ხოლო აგათია სქოლასტიკოსი (VI საუკუნე) ლაზიკის ტერიტორიაზე ასახელებს ციხესიმაგრე ტელეფისს (მკვლევარნი აიგივებენ ახლანდელ სამტრე- დიის რაიონის სოფელ ტოლებში არსებული ციხესიმაგრის ნანგრევებთან). აქვე ყოფილა ქიტროპოლია, თიხის ჭურჭლეულით სავაჭრო ადგილი. VI საუკუნის II ნახევარში ლაზიკაში შენდება ცნობილი ციხე-ქალაქი და საეპისკოპოსო ცენტრი პეტრა (ახლანდელი სოფელი ციხისძირი, ქობულეთის რაიონი). VIII საუკუნიდან ლაზიკის პროვინციის უდიდესი ნაწილი გურიის სახელით მოიხსენიება.

ლივანა - ლიგანი, ნიგალი, ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი ფეოდალური ხანის სამხრეთ საქართველოში, მდინარე ჭოროხის ქვემო დინებაში. წყაროებში პირველად იხსენიება XI საუკუნეში (ნიგალი). ვახუშტის (XVIII ს.) მიხედვით, მოიცავდა მდინარე ჭოროხის ხეობის იმიერ და ამიერ მხარეს ართვინის სანახებითურთ: „და ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ხეობის იმერი და ამერი იწოდების ლიგანის ხეობად. და არს ეს ლიგანის ხეობა თჳნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმოთი, ზეთისხილით...“(ვახუშტი). შემდგომში ლივანად

მიაჩნდათ მდინარეების აჭარისწყლისა და ჭოროხის შესაყართან მდებარე ტერიტორია. 1549 წელს ლივანა ოსმალებმა დაიკავეს. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 ომის შემდეგ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ამჟამად ლივანის მხოლოდ მცირე ნაწილია საქართველოს ფარგლებში, დანარჩენი კვლავ თურქეთის საზღვრებშია.

ლორე, ლორი - შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი და ისტორიული მხარე ტაშირში (დღევანდელი სომხეთი). ქალაქის ნანგრევები შემორჩენილია სომხეთის ქ. სტეფანავანის ახლოს. დაარსდა XI საუკუნეში, 1065 წლიდან კვირიკიდების დინასტიის მიერ ჩამოყალიბებული ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ცენტრი. მდებარეობდა მაღალ სამკუთხა პლატოზე. ორი მხრით ხეობები იცავდა, მესამე მხრით - ციხესიმაგრეთა კედლების სისტემა. 1118 წელს მეფე დავით IV აღმაშენებელმა ლორე მიმდებარე ტერიტორიებით საქართველოს სახელმწიფოს შემოუერთა. განსაკუთრებული სამხედრო მნიშვნელობის გამო იგი საქართველოს ამირსპასალართა სადგომი პუნქტი გახდა. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში მთელ ტაშირს ლორე ეწოდა. 1177 წელს ლორე მეფე გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებული ივანე ორბელისა და დემნა უფლისწულის უკანასკნელი საყრდენი პუნქტი იყო. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქალაქი ამირსპასალარ ყუბასარს გადაეცა. 1186 წლიდან ლორეს მხარგრძელთა ფეოდალური საგვარეულო ფლობდა და საქართველოს სანაპირო საერისთავოს ცენტრი იყო. 1236 წელს ლორე მონღოლებმა აიღეს და სასტიკად დაარბიეს. XIV-XV საუკუნეებში ქალაქი მნიშვნელოვნად დაქვეითდა და ციხესიმაგრის ფუნქციაღა შერჩა. XVI-XVIII საუკუნეებში საბოლოოდ დააკნინა ირანელთა და ოსმალთა ლაშქრობებმა. 1918-21 წლებში საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ კომუნისტებმა სომხეთს გადასცეს.

მაღრან-დვალეთი - ისტორიული თემი აღმოსავლეთ საქართველოში მდინარე ლიახვის სათავეებში, ძირითადად მოიცავდა ახლანდელ ჯავის რაიონის ედისის ტერიტორიას. ცენტრი ედისა (შუა ფეოდალური ხანა). სახელწოდება მაღრან-დვალეთი პირველად გვხვდება XIV საუკუნეში („ძეგლი ერისთავთა“). ნაწარმოების სიტყვა მაღნარიდან (ტყიანი) და მხარის სახელწოდება დვალეთიდან. გვიანდელი შუა საუკუნეებში მაღრან-დვალეთი ქსნის საერისთავოს შემადგენლობაში მოექცა. ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) ცნობით, მაღრან-დვალეთი ქსნის ერისთავთა მამული იყო. მაღრან-დვალეთის ისტორიულ ძეგლთაგან აღსანიშნავია ე. წ. ცარციათების ნაქალაქარი სოფელ ედისის მახლობლად, „ზილდი მასიგ“ (უბნის კოშკი), ზურგიანი კოშკები გალუანთასა და ედისაში. მაღრან-დვალეთის უძველესი მოსახლეობა ქართული და დვალური იყო. გვიანდელი შუა საუკუნეებში აქ კომპაქტურად დასახლდნენ ოსი მოახალშენეები.

მისიმიანეთი - მდებარეობდა მდინარეების კოდორისა და კელასურის ზემო წელზე, აფშილეთის ჩრდილო - აღმოსავლეთით. მათი საზღვარი ციხე-ქალაქ წებელდასთან ახლოს გადიოდა. ჩრდილოეთით მას ესაზღვრებოდა

ალანია, რომელთა საზღვართან აგებული იყო სობღისის ციხე (მარუხის უღელტეხილთან). სამხრეთ-აღმოსავლეთით ეგრისის საზღვართან მდებარეობდა ბუქლონის ციხე. ჩრდილო აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა სვანეთი, რომელთანაც საზღვარი კოდორის ქედზე გადიოდა. ჩრდილო-დასავლეთით მდინარე კელასურის ზემო წელის გაყოლებით ესაზღვრებოდა მთიანი აბაზგია.

მისიმიელებს ეკავათ ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილები, რომელთა გავლით ალანიაში მნიშვნელოვანი სავაჭო გზები მიდიოდა. ამიტომ მისიმიანეთზე და აფშილეთზე კონტროლით მთელს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი დაცული იყო ჩრდილო კავკასიელთა შემოსევებისგან. მისიმიანეთის მთავრი ციხე იყო ჩახარი. მნიშვნელოვანი ციხეები იყო აგრეთვე კოდორის შუა წელზე მდებარე პსკალის ციხე, ლათას ციხე.

მისიმიელები სვანურ ტომს წარმოადგენდნენ და ქრისტიანები იყვნენ. სვანები თავის თავს „მიშვიანის“ ეძახიან. ზოგიერთი ბიზანტიელი ისტორიკოსი მისიმიელებს ფუსტებს ეძახის. „ფუსტ“ კი ერთ-ერთ სვანურ ღვთაებას ჰქვია.

მესხეთი - ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო ქართლი) ზოგადი სახელწოდებაა. ანტიკური წყაროებში (სტრაბონი) მოიხსენიება ეს ტერიტორია „მოსხიკეს“ სახელწოდებით. (მოსხური ქვეყანა, მესხების მხარე) ეწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული წყაროები „მესხეთს“ არ ახსენებენ და ამ მხარის სახელწოდებად X-XVI სს-ში ზემო ქართლი იხმარებოდა. მის პარალელურად არსებობდა ტერმინები შიდა ქართლი და ქვემო ქართლი. ზემო ქართლი მოიცავდა მტკვრის აუზის ზემო ნაწილს (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა) და ჭოროხის აუზს მთლიანად (აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი). იგი სამხრეთიდან მდინარეების ევფრატისა და არაქსისაგან იფარგლებოდა ე. წ. მოსხური მთებით.

მთიულეთი - ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. მოიცავს მდინარე თეთრი არაგვის ხეობას და მის გვერდით ხევებს - ამირთხევს, ხარხელთხევს, ჩოხელთხევს, ხადისხევს და სხვა. მისი უკიდურესი სამხრეთი საზღვარი იყო მთიულთკარი, ჩრდილოეთით - თრუსოს ხევი და საკუთრივ ხევი, აღმოსავლეთით - გუდამაყარი, დასავლეთით - ლომისის ქედი. თავდაპირველად მთიულეთი ეწოდებოდა ცხავატის თემს, XIII საუკუნიდან ხადა - ცხავატს, ხალხური გამოთქმა ასეთია მთიულეთზე: „თავს ხადა ბოლოს ცხავატი“, მთიულეთშივე შედიოდა ხანდო. ასევე ცნობილია რომ ადრე მთიულეთი ოთხ ძირითად თემად იყოფოდა: ცხავატი, მრევლი, გარეშემო და ხადა. ხშირად მთიულეთად იგულისხმებოდა აგრეთვე გუდამაყარიც. დღესდღეობით მთიულეთად დაბა ფასანაურის ჩრდილოეთით მდებარე ტეროტორია მიიჩნევა. ცენტრად კი, დაბა ფასანაური. გადმოცემის თანახმად, მთიულეთში ქრისტიანობა უქადაგია ქართველთა გამანათლებელ ნინოს. მთიულეთში შემორჩენილია ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თვალსაზრისით, მთიულეთი დუშეთის რაიონის შემადგენლობაში შედის.

მუხრანი (რეგიონი) - მუხნარი, ისტორიულ - გეოგრაფიული რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში (ახლანდელი მცხეთის რაიონის ტერიტორია). სახელწოდება წარმოდაგება "მუხიდან". ანტიკურ ხანასა და განვითარებულ შუა საუკუნეებში მუხრანისა (ბარი) და თრიალეთის (მთა) კავშირმა დიდი როლი შეასრულა ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოშობაში, შემდეგ კი - საქართველოს სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში. მუხრანი თავიდანვე ქართლის მეფეთა სანადირო ადგილი იყო. აქვე ჰქონდათ მათ რამდენიმე სასახლე - რეზიდენცია. II-IV საუკუნეებში მუხრანის ცენტრი იყო ქალაქი ძალისი. VIII-IX საუკუნეებში მუხრანის ძაგანისძეთა ფეოდალური საგვარეულო დაეუფლა. 1123 მეფე დავით აღმაშენებელმა მუხრანი კვლავ სამეფო დომენად აქცია. ამ პერიოდიდან მუხრანის მთავარი ციხე ვარაუდით ან ციხევდავია, ან კიდევ მტკვრის (ქსნის) ციხე. XVI საუკუნიდან სამეფო დინასტიის ქართლის ბაგრატიონთა ერთ - ერთი შტოს, საკუთრება - სათავადოა (სამუხრანბატონო). ეს ადმინისტრაციული სტატუსი ჰქონდა მას XIX საუკუნის 40-იან წლამდე.

მუხურისი, მოხირისი (მხარე) - ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში, ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ცენტრალური პროვინცია. მოიცავდა იმერეთის ვაკე ტერიტორიას მდინარეების რიონსა და ცხენისწყალს შორის. ისტორიკოს ნ. ბერძენიშვილის აზრით მოხირისის მხარეში შედიოდა: ქვილიშეთის (ხომულის) ქვეყანა, ქუთათისის ქვეყანა და ოჩხომურის ქვეყანა. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „მუხურისი“ წარმოდგება ციხე „მუხურისი-დან“ (სამტრედიის რაიონის სოფელ დაბლაგომის აღმოსავლეთით 4 კმ-ზე), რომელიც ამ მხარის უძველესი უნდა ყოფილიყო (VI საუკუნეში მხარის ცენტრი იყო უქიმერიონის ციხე). წყაროებში პირველად მოიხსენიება VI-VII საუკუნეებში. მუხურისი იყო მჭიდროდ დასახლებული, ეკონომიკურად დაწინაურებული დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მხარე. აქ გადიოდა სამეფოს მთავარი სავაჭრო-სამიმოსვლო მაგისტრალები, კერძოდ, მთის პროვინციებთან დამაკავშირებელი გზები; ის, ვინც ბატონობდა მუხურისზე, ფაქტობრივად ბატონობდა სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმზეც.

მოგვიანებით ქუთაისის ზრდამ გამოიწვია მოხირისის ქვეყნის ქუთაისის ქვეყნით გადაფარვა. VIII საუკუნის ბოლოს შექმნილ აფხაზთა სამეფოში შედიოდა ქუთაისის საერისთავო, რომელიც მოიცავდა ქუთაისს, ვაკეს, ოკრიბას, ხანისწყლის დასავლეთს გურიამდე და რიონი დასავლეთ ნაწილს ცხენისწყლამდე. XI-XII საუკუნეებში მუხურისის ტერიტორიას ეწოდებოდა, სამოქალაქო.

ოკრიბა - ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში, იმერეთის ნაწილი (ტყიბულის რაიონი). სახელწოდება „ოკრიბა“ პირველად მოხსენი-ებულია XI საუკუნეში. სახელწოდების მრავალი განმარტება არსებობს, მათ შორის, ყველაზე დამაჯერებელია რომ სახელწოდება „ოკრიბა“ მომდინარეობს ზანური „კირიბ“ სიტყვიდან, რაც „საბატკნეს“ ნიშნავს. ხალხში გავრცელებული მეორე მოსაზრება, უფრო სწორად ლეგენდა, მოგვითხრობს: „ერთხელ აქ

სოლომონ მეფეს ჩაუვლია და ბევრი ხალხი უნახავს ერთად თავმოყრილი და უთქვამს: „ვო კრებაო“ და ამის შემდეგ ქვია „ოკრიბა“. ოკრიბას დასავლეთით გამოყოფდა მდინარე რიონი, ჩრდილოეთით, რაჭიდან - რაჭის ქედის ერთი მონაკვეთი, ჩრდილოეთ-დასავლეთით, ლეჩხუმიდან - რაჭის ქედის გაგრძელება (მდინარე ლეხიდარის მარცხენა ნაპირის გასწვრივ), სამხრეთით - იმერეთის ვაკე, სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით არგვეთის მთების მასივი. ოკრიბა მთაგორიანი მხარეა, მისი ფართობი 478,2 კვ. კილომეტრს შეადგენს.

ოკრიბაში ადამიანის ცხოვრების კვალი ძველი ქვის ხანიდანაა დამოწმებული. გვიან შუა საუკუნეებში ოკრიბა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. იმ დროისათვის იქ 50-ზე მეტი სოფელი იყო, რომელთა უმეტესობა სამეფო და სასულიერო აზნაურებს ეკუთვნოდა. იმერეთის სამეფოს სამხედრო – ადმინისტრაციული დაყოფით ოკრიბა მეოთხე სადროშოში შედიოდა. სასულიერო ხელისუფალი გელათის ეპისკოპოსი იყო. ოკრიბას მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრები იყო გელათის მონასტერი, მოწამეთა და სხვ. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქრთველოსა“ წერს: ბაგრატიონებმა „რა ჟამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი“.

ადგილობრივები ლიხის მთას „საქართველოს დედას უწოდებენ. მის ერთ ძუძუს მტკვარი წოვს, მეორეს კი „რიონი“. „რიკოთის“ მიმყოლი „დედაბერას“ მთაა, მას ებმის „კორტოხი“ - „ჯვარი“, მერე „ბზიხევი“ „პერანგაზე“ ადის და „დიდკავკასიონს“ უერთდება. ამით მთავრდება ლიხთ-იმერეთის ქედი, რომელიც, ვახუშტის სიტყვით რომ ვთქვათ, „მდებარეობს ჩრდილოდამ სამხრეთით, კავკასიიდამ ღადომდე“.

იმერეთი იყოფა „ზემო და ქვემო იმერეთად“. გარდა ზემო და ქვემო იმერეთისა, იმერეთში გამოიყოფა აგრეთვე ოკრიბა. ზემო იმერეთი ქართლ-იმერეთის ქედიდან დაწყებული ყვირილას და ხანისწყლის რიონთან შერთვის ადგილამდე ვრცელდება. კოლხეთის დაბლობზე გაშლილი ქვემო იმერეთი კი, ყვირილა-ცხენისწყლის შესართავამდე მოდის. ახლანდელი ოკრიბა, რომელიც დღევანდელი ტყიბულის რაიონს მოიცავს, ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში ჩამოყალიბდა. ის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარის, იმერეთის ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონია.

პალაკაციო - მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია); აბოცს, ჯავახეთს, კოლა-არტაანსა და კარს (ყარსი) შორის მდებარე მიწები; XII საუკუნის ბოლო პერიოდში ადმინისტრაციულად ჯავახეთის სანაპირო საერისთავოში შედიოდა; მომდევნო საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილი იყო. ამ პერიოდში პალაკაციოს უკვე „ჩრდილის“ (თურქულად „ჩილდირ“) სახელით მოიხსენიებდნენ. 1186-1187 წლებში ჯავახეთის ერისთავთ-ერისთავმა გამრეკელ კახას ძე თორელმა დაამარცხა პალაკაციოში შემოსული თურქები. XVI საუკუნეში, იგივე

ჩრდილის-ჩილდირის მხარე, ოსმალებმა დაიპყრეს. 1578 წელს აქ გაიმართა დიდი ბრძოლა ოსმალთა და სპარსელთა ჯარებს შორის.

პანკისის საერისთავო - ძველი კახეთის სამთავროს ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც მოიცავდა პანკისის ხეობას, ალვანის ველსა და თუშეთს. ცენტრი - პანკისის ციხე.

პანკისის ხეობა - მდებარობს მდინარე ალაზნის ზემო დინების ხეობაში (ბახტრიონის ზემოთ) კავკასიონის ფარგლებში, დღევანდელი ახმეტის რაიონის ტერიტორიაზე. სიგრძე 34 კმ (მთა ბორბალოდან ალაზნის ვაკემდე). შემო- ფარგლულია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ განშტოებებით - პანკისისა და დიდგვერდ-ნაქერალის ქედებით. მდინარე ალაზნის აუზის ზემო ნაწილი ქოჩარის ქედით იყოფა ორ ხეობად, რომლებიც მდინარეებს წიფლოვანისწყალსა და სამყურისწყალს ეკუთვნის. ზღვის დონიდან 950 მ. სიმაღლეზე ეს მდინარეები ერთდებიან და წარმოშობენ ალაზანს. ხეობის ფერდობები 2000-2200 მ-მდე შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით. ალაზნის მარჯვენა შენაკადის ბაწარის ხეობაში არის უთხოვრის ტყის ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალი.

პარხალი (მხარე) - საქართველოს ისტორიული მხარე ტაოში (დღევანდელი თურქეთი), რომლის ცენტრი იყო დაბა პარხალი. ტერიტორიულად მოიცავდა მდინარე ჭოროხის შუა წელის მარცხენა შენაკადის პარხალისწყლის აუზს (სახელწოდება „პარხალი“ უკავშირებენ ანტიკურ წყაროებში) მოხსენიებულ პარიადრის მთიანეთს.

პარხალი X საუკუნეში დავით III კურაპალატის მამული იყო. აქ რამდენიმე კილომეტრზე გრძელდებოდა კლდეში გამოკვეთილი სარწყავი არხი, რომლის მშენებლობა (XII-XIII საუკუნეების მიჯნა) მეფე თამარს მიეწერება.

საამილახორო, საამილახვრო, - სათავდო, რომელსაც მართავდა მეფის დანიშნული მოხელე - ამილახვარი. საამილახოროს ტერიტორია მოქცეული იყო მდინარეებს ლეხურასა და ლიახვს შორის. წარმოიშვა XIV საუკუნის დასაწყისში, როდესაც ზევდგენიძეებმა სამემკვიდრეოდ მიიღეს სხვილოური მამული. XIV საუკუნის ბოლოს მათ ებოძათ ახალციხე (არაგვის ხეობაში) და შიომღვიმე საგვარეულო საძვალედ (გვიანდელ ხანაში ამილახვრები სამთავისშიც იმარხებოდნენ).

1429 წელს ზევდგენიძეების ხელში გადავიდა კასპი, იგოეთი, ნადარბაზევი, გომი, უფლისციხე, გვერდიძირი. XV საუკუნის I ნახევარში ზევდგენიძეებმა მიიღეს ამილახორის სახელი. 1470-იან წლებში ისინი ყმამამულებს ფლობდნენ მცხეთაში, კარსანში, ძაგნაკორნაში, ახატანში, ხატისწობენში. ზევდგენიძე-ამილახორთა უფლებები განმტკიცდა XV-XVI საუკუნეებში, როდესაც ქართლი დაიყო სადროშო-სასარდლოებად და მემარჯვენე სასარდლოს მეთაურად ამილახორი დაინიშნა. ამილახორთა ძლიერებას ზრდიდა ისიც, რომ XV საუკუნის დასაწყისიდან ისინი ფლობდნენ გორის მოურავის თანამდებობას. XIV-XVI საუკუნეებში ცენტრი იყო სხვილო, ხოლო XVII საუკუნის დასაწყისიდან ქვემო ჭალა. საამილახორო განსაკუთ-

რებით გაძლიერდა XVII საუკუნის II ნახევრიდან და XVIII საუკუნის I ნახევარში, მაგრამ გივი ამილახვრის აჯანყების დამარცხების შემდეგ მისი ძლიერება თანდათან დაეცა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მნიშვნელობა დაკარგა ამილახორის თანამდებობამ და საამილახორო, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული, უკვე აღარ არსებობდა.

საარიშიანო - ჰერი დიდებულის არიშიანისათვის დავით აღმაშენებლის მიერ სამფლობელოდ მიცემული ტერიტორია. XII-XIII საუკუნეებში გაერთიანებული საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო (სასაზღვრო პროვინცია) იყო და მოიცავდა ახლანდელი აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილს (X საუკუნის შაქისა და ყაბალის მხარეებს). ტერმინი „საარიშიანო“ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილია ნიკო ბერძენიშვილის მიერ.

სააბაშიძეო - ფეოდალური სათავადო ზემო იმერეთში. აღმოცენდა ბაღვაშთა ყოფილ სამფლობელოზე. აბაშიძეთა სათავადოს ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო აბაშიძეების საგვარეულოს დამფუძნებლის აბაშის მოღვაწეობის დროს, XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე. სათავადოს ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა რაჭის საერისთავო, სამხრეთით მდინარე ძირულა, აღმოსავლეთით ლიხის ქედი, დასავლეთით არგეთა-ჩხარი. რეზიდენცია, კარის ეკლესია და საძვალე სასაფლაო ჰქონდათ ჭალას, კაცხსა და უბისაში. აბაშიძეთა სათავადო განსაკუთრებით გაძლიერდა XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის I ნახევარში. ამ დროისათვის აბაშიძეთა სათავადოში შედიოდა 78 სოფელი, 4 ეკლესია-მონასტერი, 1500 კომლი ყმა-გლეხი, ვახანის, ჩხერის, სვერის, ნავარძეთის, კაცხის, ხარაგაულისა და სხვა ციხესიმაგრეები. მცირე ხნით შორაპნის, შროშის, ჭალატყისა და ცუცხვათის ციხესიმაგრეებიც. აბაშიძეთა სათავადო იმდენად ძლიერი იყო, რომ ხშირად ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა, უკავშირდებოდა მეზობელ სამთავროებს და გამოდიოდა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ სოლომონ I-მა აბაშიძეებს ჩამოართვა სათავადოს მნიშვნელოვანი ნაწილი ციხესიმაგრეებიანად და სახასო საკუთრებად გამოაცხადა. იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ (1810 წ.) აბაშიძეთა სათავადო გაუქმდა.

საჩხეიძეო - ფეოდალური სათავადო ზემო იმერეთში. ვახუშტის ცნობით სათავადოს საზღვრებია: აღმოსავლეთით „ფერსათიდამ ჩამოსული მცირე მთა“, დასავლეთით „საჩინო-სალომინაოს საზღვრის ხაზი რიონიდან ფერსათამდე“. სამხრეთით - „მთა ფერსათისა ანუ ღადოთ ანუ ლომსიათ წოდებული“. ჩრთილოეთით - მდინარეები რიკოთულა, ჩხერიმელა, ძირულა. ყვრილა და რიონი. ამრიგად, საჩხეიძოში შედიოდა ხარაგაულის, შორაპან-ზესტაფონის, ბაღდათის, ვანის რაიონები და ვაკე. დაახლ. 150 სოფელი, ეკლესია-მონასტრებით, ციხე-სიმაგრეებით, მთებით, მდინარეებით, ტყეებითა და სავარგულებით.

საბარათიანო - სათავადო ფეოდალურ საქართველოში. საბარათიანო საბოლოოდ ჩამოყალიბდა XV საუკუნეში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. მის ფუძემდებლად მიიჩნევენ ბარათა ქაჩიბაიძეს, რომელიც XVI საუკუნის I ნახევარში ცხოვრობდა და ალექსანდრე I-ის მოლარე იყო. საბარათიანო მოიცავდა ტერიტორიას გაჩიანიდან გარდაბნის საერისთავოდან თბილისის სამხრეთით ლორე-ფარავნამდე. რეზიდენცია იყო სამშვილდეში.

საბარათიანოს სახლის წევრები ამ ტერიტორიის სხვადასხვა კუთხეში ისხდნენ და თავიანთი საუფლისწულოები ჰქონდათ. ბარათაანთ სახლის გაყრის შემდეგ ეს საუფლისწულოები დამოუკიდებელ სათავადოებად იქცნენ. ასე ჩამოყალიბდა საგოსტაშაბიშვილო, საგერმანოზიშვილო, საზურაბიშვილო, საქავთარიშვილო, საიარალიშვილო, საიოთამიშვილო, საბარათაშვილო, საყაფლანიშვილო და სხვა. ამათ შორის ბრძოლაში გაიმარჯვეს ყაფლანის შვილებმა, რომლებმაც XVII საუკუნეში სომხით-საბარათიანოში წამყვანი მდგომარეობა დაიკავეს. საბარათიანო თანდათან დაკნინდა. XVIII საუკუნეში მთლიანად დაიშალა.

საინგილო - ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე თანამედროვე აზერბაიჯანში. იგი ისტორიული კახეთის, კერძოდ ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი იყო. ამ ტერიტორიის საქართველოდან ჩამოცილება დაიწყო 1604 წელს, როდესაც შაჰ-აბასმა იგი წახურელ ლეკებს გადასცა. 1727 წელს კი თურქეთის სულთანმა საინგილო ჭარელ ლეკებს მიუზომა. ამას მოჰყვა ამ მიწაზე ლეკების ჩამოსახლება, რომლებმაც ქართულ სოფლებში მოიკიდეს ფეხი. XVIII ს-ში ლეკები გაერთიანდნენ ორ პოლიტიკურ ერთეულში: ელისუს სასულთნოსა და ჭარ-ბელაქანის თემში. დაიწყო ქართველების დევნა და მათი ძალდატანებითი გამაჰმადიანება. გამაჰმადიანებულ ქართველს იანგილოს ეძახდნენ, რაც თურქულად „ახლად მორჯულებულს“ ნიშნავს. აქედან წარმოსდგება სახელები „ინგილო“ და „საინგილო“.

1803 წელს რუს-ქართველთა ჯარმა ჭარ-ბელაქანი დაიკავა და ამის შემდეგ საქართველოს ნაწილია ჯერ ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის, შემდეგ ზაქათალის ოლქის სახელით. 1921 წელს საინგილო აზერბაიჯანს გადაეცა. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით საინგილო მოიცავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიას.

სამაჩაბლო - ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი სათავადო. წარმოიშვა XV საუკუნის დასაწყისში მდინარე ლიახვის შუა და ზემო წელზე, ისტორიულ აჩაბეთის ხევში. სახელწოდება მომდინარეობს თავად მაჩაბელთა გვარიდან, რომელთა წინაპრები იყვნენ აზნაური თავხელიძეები (სხვა ვერსიით ანჩაბაძეები). სამაჩაბლოს რეზიდენცია იყო აჩაბეთი, ხოლო საგვარეულო საძვალე-სამარხი - თირის მონასტერი და საბაწმინდა. ეკლესიურად ექვემდებარებოდა ნიქოზის საეპისკოპოსოს. სამაჩაბლოს ჩამოყალიბება და ტერიტორიული გაფართოება დაკავშირებული იყო მეფის ხელისუფლების წინააღმდეგობის დაძლევასთან. სამაჩაბლოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ქსნის

საერისთავო, სამხრეთიდან ფავლენიშვილთა და ამილახვართა მამულები, სამხრეთ-დასავლეთით საყაფლანიშვილო, ჩრდილო-დასავლეთით - რაჭის საერისთავო. ჩრდილოეთით მაჩაბელთა ძალაუფლება დვალეთამდე აღწევდა. XV საუკუნეში მაჩაბელთა მეზეგრეა დვალეთის ერთ-ერთი ხეობის - ჟღელეს - სოფლები, ხოლო XVII დამლევს - ზროგოს ხეობის სოფლები.

სამაჩაბლო გაუქმდა 1850 წელს, როდესაც მაჩაბლებსა და ყმა ოსებს შორის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის გამო სენატის დადგენილებით მაჩაბელთა 2000 კომლი ყმა სახაზინო უწყებას გადაეცა.

სამურზაყანო - ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. როგორც პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. მოიცავდა ძირითადად ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორიას. 1705 წელს მემკვიდრეობით მიიღო მურზაყან შარვაშიძემ, რომლის სახელისგანაც მთელი მხარის სახელია მიღებული. 1805 წელს შევიდა რუსეთის მფარველობაში. 1813-1840 წლებში ლევან დადიანს ექვემდებარებოდა. 1840 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ოდიშის სამთავროს სუვერენიტეტისაგან გამოისყიდა და სამურზაყანოს საბოქაულო დააარსა. 1857 წელს, სამგრელოს (ოდიშის) სამთავროს გაუქმების შემდეგ, სამეგრელოს მმართველს დაუქვემდებარეს. 1864 წლიდან სოხუმის სამხედრო განყოფილების შემადგენლობაში იყო, 1883-დან სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში სამურზაყანოს უბნის სახელწოდებით.

სანიგეთი - სანიგებით დასახლებული ისტორიული მხარე ახლანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. სანიგებს პირველად პლინიუსი (ახ.წ. 23-79წწ) იხსენიებს, რომლის თანახმადაც ისინი სებასტოპოლისის ახლოს, აფშილების მეზობლად ცხოვრობდნენ. მათ ტერიტორიაზე მდებარეობდა პიტიუნტი. საერთოდ კი სანიგეთი მდინარე კელასურიდან - მდინარე შახემდე ვრცელდებოდა.

სტრაბონის ცნობით თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ჰენიოხები, რომელთაც 4 ბასილევსი ჰყავდათ. მართლაც ახ.წ. II საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ისტორიკოსი არიანე მოგვითხრობს აფხაზეთის ტერიტორია 3 სამეფოს სანიგეთს, აფშილეთს და აბაზგიას (და მისიმიანეთს) უჭირავს. სანიგეთის „მეფეს“ სპადაგას, ისევე როგორც დანარჩენთ ძალაუფლება რომის იმპერატორთაგან მიუღიათ. ისტორიკოს ს. ჯანაშიას სანიგეთი კოლხეთის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სამეფოდ მიაჩნია. ისტორიკოს გ. მელიქიშვილის აზრით, სანიგეთის გაერთიანება წარმოადგენდა ტომთა კავშირს სახელმწიფოებრიობის ძლიერი ჩანასახით.

არაუგვიანეს ახ.წ. VI საუკუნეში სანიგეთი უერთდება აბაზგიას და ბიზანტიურ წყაროებში მისი ხსენება წყდება. უკანასკნელად სანიგეთს თამარის პირველი ისტორიკოსი იხსენიებს XII საუკუნის ამბების თხრობისას.

საციციანო - სათავადო ფეოდალურ საქართველოში. მდებარეობდა ქართლის გაღმა მხარეში (მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო). იყოფოდა ზემო და ქვემო საციციანოდ. ზემო საციციანო შეიქმნა ძამის ხეობის -

გვერდისძირის, ხოლო ქვემო - სოფელ ნიჩბისის ირგვლივ. მათ ერთმანეთისაგან მიჯნავდა ჯავახიშვილებისა და თარხნიშვილების სამფლობელოები.

XIV საუკუნის II ნახევარში ტაო-შავშეთიდან შიდა ქართლში გადმოვიდნენ ფანასკერტელთა ფეოდალური სახლის წევრები, რომლებიც XV საუკუნეში საბოლოოდ დამკვიდრდნენ ძამის ხეობაში და საფუძველი ჩაუყარეს ახალ სათავადოს. „საციციანო“ სახელწოდება მომდინარეობს თავად ციციშვილების გვარიდან. საციციანოს თავდაპირველად ბირთვს შეადგენდა ორბელისეული მამული (ხვედურეთი, კეხისჯვარი). შემდგომში მათ მიიღეს უფლისციხე, ქვახვრელი, კარალეთი. ისინი ხშირად ფლობდნენ მეოთხე სადროშოს სარდლის თანამდებობას, რომელიც მათ გამოიყენეს სამფლობელოს გასაფართოებლად. საციციანოში შედიოდა ხვედურეთის ხეობა, ძამის ხევი, ვერძისძირი, გუჯარეთი, ნიჩბისი, წყნეთი, დოესი, იისციხე, ავკეთი, ატენი. რეზიდენციები იყო სამწვერისში, მძოვრეთში, ნიჩბისში, ხოლო საგვარეულო საძვლე-სამარხები - ყინწვისში, სამწევრისში, ხვედურეთსა და ნიჩბისში. საციციანომ იარსება XIX საუკუნის 40-იან წლებამდე.

საწერეთლო - წერეთელთა სათავადო ზემო იმერეთში (ზემო ქვეყანა ანუ იმერეთის მეორე სადროშო, ისტორიული არგვეთის ტერიტორა) მდებარეობდა. საგვარეულო ორ ძირითად - საჩხერისა და სხვიტორის - შტოდ იყოფოდა. ასევე ფლობდნენ მოდინახესა და სხვა ციხეებს, ერთ-ერთ საძვალედ ჰქონდათ ჯრუჭის მონასტერი. საწერეთლოში XIX ს. დამდეგს 57 სოფელი შედიოდა, რომლებშიც 1000 კომლზე მეტი ყმა-გლეხი ცხოვრობდა. რუსეთის მიერ იმერეთის დაპყრობის პერიოდში (1810წ) წერეთლების ნაწილი იმპერიას მიემხრო, ნაწილი კი სოლომონ II-ს ერთგულობდა. თავადობა 1850წ., რუსეთის მიერ იმერეთის ანექსიის შემდეგ, დაუმტკიცდათ.

წერეთლების ერთი შტო 1724 წ. ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს რუსეთში გაჰყვა და იქ დამკვიდრდა. ეს შტო ცნობილი იყო ცერტელევების გვარით.

საჩინო - ისტორიული მხარე ქვემო იმერეთში. მოიცავდა მდინარეების ყუმურისა და სულორის ხეობებს, აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა მდინარე კვირისწყალი, დასავლეთით საჯავახოს მთები. იყოფოდა ზემო საჩინოდ და ქვემო საჩინოდ. საჩინოს სხვადასხვა დროს ფლობდნენ ჯერ ქვაბულისძეთა, შემდეგ ჩიჯავაძეთა ფეოდალური საგვარეულოები.

საჯავახო (მხარე) - ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში, საჯავახოს ქედის წინა ზოლის ტერიტორია, ახლანდელი სამტრედიისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მოსაზღვრე რეგიონი. სახელწოდება „საჯავახო“ XIII საუკუნის ფეოდალის ჯავახ ჭილაისძის სახელიდან უნდა მოდიოდეს. ისტორიულ წყაროებში პირველად მოსხენიებულია XVI საუკუნეში. მონაცვლეობით ეკუთვნოდა გურიისა და სამეგრელოს სამთავროებს, იმერეთის სამეფოს.

სპერი (მხარე) - (დღევანდელი თურქეთის პროვინცია ისპირი) ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ისტორიული მესხეთის ნაწილი. იგი მდებარეობს ჭოროხის ზემო დინებაში. მკვლევართა დიდი ნაწილი სპერსა და მის მოსახლე-

ებს მიიჩნევს აღმოსავლელი ქართული ეთნიკური, სახელმწიფოებრივი და კულტურული წრის შემადგენელ ნაწილად. ძვ. წ. V საუკუნეში ჰეროდოტე იხსენიებს მის მოსახლეობას - სასპერებს (ტერმინი შეიძლება ნაწარმოები იყოს მხარის სავარაუდო სახელწოდებისაგან „სასპერ“-ოდან). სპერის ტერიტორია შავ ზღვამდე აღწევდა (აქედან სახელწოდება „სპერის ზღუა“). ძვ. წ. IV-III საუკუნეებში სპერი, ქართლის სამეფოს წარმოქმნის დროისათვის, პროვინცია იყო (სტრაბონი სპერის „პარიადრის მთიანეთის“ სახელით იხსენიებს). სპერის მხარის ერთი ნაწილი - ზემო სპერი სხვა ძველ ქართულ პროვინციებთან (ტაო, გოგარენე) პერიოდულად გადადიოდა ხან სომხეთის, ხან ქართლის მფლობელობაში. სომხეთის მფლობელობაში სპერის მხარის ეს ნაწილი მოქცეული იყო ძვ. წ. II საუკუნეში და ახ. წ. III-IV საუკუნეებში (387 წლამდე). სპერის ოლქის უდიდესი ნაწილი და საკუთრივ ძველი ქალაქი სპერი 1570-იანი წლების დამლევამდე თითქმის ყოველთვის შედიოდა საქართველოს საზღვრებში: XII-XIII საუკუნეებში საქართველოს ფეოდალური მონარქიის გამგებლობაშია, XIII საუკუნის II ნახევრიდან სამცხის სამთავროში (სამცხე-საათაბაგოში) შედის. XIII საუკუნის ბოლოს სამცხის მთავარმა ბექა მანდატურთუხუცესმა სპერში დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი. 1578 წლიდან ეს ძირძველი ქართული მხარე ოსმალეთმა მიიტაცა.

ამჟამად იგი შედის თურქეთის ისპირის ვილაიეთში. სპერი უაღრესად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ სწორედ ეს მხარე არის ბაგრატიონთა საგვარეულოს სამშობლო.

სომხითი - გვიანი შუა საუკუნეებში სამშვილდისა და ხუნანის საერისთა-ოების (ისტორიული გაჩიანისა და გარდაბნის ტერიტორიები) სახელწოდება.

ისტორიულ წყაროებში პირველად მოიხსენიება XI საუკუნეში, როცა საქართველოს კუთვნილ ტერიტორიას - ქვემო ქართლის უდიდეს ნაწილს - თანდათან (IX საუკუნის დასასრული - XI საუკუნის შუა წლები) დაეუფლა სომხეთის სახელმწიფო (ანისის სამეფო) და სახელწოდება „სომხითი“ ამ ტერიტორიაზედაც გავრცელდა. ვახუშტი (XVIII საუკუნე) საკუთრივ სომხეთისაგან განსხვავებით ამ ტერიტორიას „ქართლის სომხითს“ უწოდებს. იგი 2 ნაწილად იყოფოდა: „ქუემო, ქუეყანა სომხითისა“, რომელიც გაგის პროვინციას (იგივე ძველი გარდაბანი) მოიცავდა, და (ვარაუდით) „ზემო კერძოი ქუეყანა სომხითისა“, რომელიც გაჩიანის პროვინციას მოიცავდა. საზღვარი გადიოდა ქურდვაჭრისხევზე (იგივე მდინარე დებედა).

გვიანდელ შუა საუკუნეებში სომხითი ქვემო ქართლის ერთ-ერთი პროვინციის სახელწოდებაა. მოიცავდა ტერიტორიას მდინარე დებედის ქვემო დინებიდან (აღმოსავლეთით) ფოლადაურის ხეობითურთ და მდინარე ხრამის ქვემო დინებიდან (ჩრდილოეთიდან) ლელვაჭარ-ლოქის მთებამდე (სამხრეთით). „სომხითის“ ცნების ასეთი დავიწროება თანდათან ხდებოდა და დაკავშირებული იყო ქვემო ქართლის პოლიტიკურ ვითარებაში მომხდარ ცვლილებებთან: სათავადოების წარმოქმნა (საბარათიანი, საორბელო-საორბელიანო და სხვა), თურქმანული ტომების მოძალება სამხრეთიდან და

ლორეს დაპყრობა, მომთაბარე „ელის“ ჩამოსახლება ქვემო ქართლისა და ძველი გარდაბნის ველებზე და სხვა.

სურები – ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი დასავლეთ საქართველოში, გურიაში, მდინარე სუფსის ზემო წელში. მოიცავს ჩოხატაურის რაიონის სოფლებს: ზემო სურები, შუა სურები, ტობახჩა-თავსურები, შველაურ-ციციბაური, ჩაკიტაური, წითელგორა, ჭალა-ქადაგური და ყოფილ სოფელი ქვემო სურები. სურების სახევისთავოს მთავარი ციხე იყო სურთა ციხე, რომელსაც შემდეგ ბუკისციხე ეწოდა.

სურები 1931 წელს დაუკავშირდა საავტომობილო გზით დაბა ჩოხატაურს.

ტაშირი - ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე იყო, ქვემო ქართლის განაპირა ოლქი. იგი შემოსაზღვრული იყო ლოქის, ლელვარის, ყარაღაჯის და ბამბაკის მთებით, მოიცავდა ტაშირისწყლის ხეობას. ეს მხარე ხშირად ლორედ იწოდებოდა, რადგან ცენტრი ლორის ციხე იყო. ტერიტორია საცილობელი იყო ქართულ და სომხურ სახელმწიფოებს შორის. X-XI ს-ში ტაშირ-ძორაგეთის სამეფოშია. 1122 წელს შემოუერთდა საქართველოს და სამართავად გადაეცა ჯერ ორბელებს, შემდეგ - მხარგრძელებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დროს, 1918 წელს ეს მხარე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ტაშირი ამჟამად სომხეთის ფარგლებშია მოქცეულია და ლორის ოლქში შედის.

ფშავი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე. თავდაპირველად იგი ხევსურეთთან ერთად ფხოვად იწოდებოდა. ფშავი და ხევსურეთი შედარებით გვიან დამკვიდრებული სახელწოდებებია. ფშავს ესაზღვრება: ჩრდილო-აღმოსავლეთით - კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას ჰყოფს თუშეთისა და პირაქეთა ხევსურეთისაგან, დასავლეთით - პირაქეთა ხევსურეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი, სამხრეთით - შიდა ქართლი, აღმოსავლეთით - ერწო-თიანეთი. ფშავი ორად იყოფა: ფშავის არაგვის სათავიდან ორწყლამდე უკანა ფშავის თემია, ხოლო ორწყალს ქვემოთ, ფშავის არაგვის ქვემო წელში, მაღაროსკარის თემი.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ფშავის მთელი ტერიტორია შედის მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის რაიონში.

ფხოვი (იგივეა, რაც „ფხოეთი“) — საქართველოს ისტორიული კუთხე აღმოსავლეთ მთიანეთში. ძირითადად, მოიცავს დღევანდელი ფშავისა და ხევსურეთის ტერიტორიებს. ივანე ჯავახიშვილი ფხოვის ისტორიულ ტერიტორას ასე ფარგლავს: „გუდამაყრის ხეობის აღმოსავლეთით ფხოელთა მთებზე არის ფხოეთი, რომელსაც აღმოსავლეთით დიდოეთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით თუშეთი საზღვრავს.“

„ფხოელები“, ანუ ფხოველები პირველად იხსენიებიან „მოქცევაი ქართლისაი“-ში, სადაც ვკითხულობთ, რომ წმინდა ნინოს ქართლის მოქცევის და მცხეთაში ეკლესიის ორგანიზების შემდგომ (326 წ.), აღმ. საქართველოს მთიანეთშიც უქადაგია: „წარიყვანა იაკობ მღვდელი, საბერძნეთით მოსრული და ერისთავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს. და მოუწოდა, მთეულთა,

ჭართალელთა და ფხოელთა, და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოებაი ქრისტესი. ხოლო მათ განუყარეს თავი და ერისთავმან მცირედ წარჰმართა მახვილი და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად.“

შემდეგ ფხოელნი მოხსენიებულია კახეთის ქორეპისკოპოსის კვირიკე III დიდის (XI ს.) დროს როდესაც მან კახეთი ხელმეორედ დაიპყრო და ახალი საერისთავოები განაწესა, ნათქვამია: „... მეორე (ერისთავი) დასვა კვეტერისა და მიეცა უჯარმის ზემოთი ორთა მთათა შორის, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა ვიდრე კავკასამდე და გარდაღმად. ესე არს ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკი და ღლიღვი.“

ამ მოკლე ცნობიდან ირკვევა, რომ ფხოვი საშუალო საუკუნეებში კვეტერის საერისთავოში შედიოდა.

თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში, დაახლოებით 1209 წელს, ფხოელები და დიდოელები გამდგარან. თამარის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ გამდგარ მთიულებს დაუწყიათ საქართველოს ტერიტორიების აწიოკება. ივანე ათაბაგს სამ თვეში კვლავ დაუმორჩილებია გამდგარნი, მათთვის ხარაჯა (საადგილმამულო გადასახადი) დაუწესებია და მეკავშირეობის გამტკიცების მიზნით მძევლები წამოუსხია. ამ ამბების აღწერისას მემატიანე ხაზს უსვამს განდგომილ მთიულთა სარწმუნოებასაც და გვაძლევს მათ მოკლე დახასიათებას: „ხოლო ფხოველნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ. ამათ იწყეს რბევად და ჴოცად და ტყეუობად ცხადად და ღამით. მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა ... მისცა ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა. ხოლო ივანე გონიერად ყო: აღვიდა მთასა ხადისასა და წარვლო წუერი მთისა, წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა, რომელი არავის ექმნა, არცა პირველ, არცა შემდგომად, რამეთუ ერთ-კერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთ-კერძო დიდოეთი და ფხოეთი. ცნეს რა მისვლა ათაბაგისა, მოვიდეს ძღუენითა მეფენი დურძუკთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გუერდსა. და იწყეს ზეიდაღმან ბრძოლად, და რბევად, და კლვად, და ტყეუობად და დაწუად; მოსწყვიდეს ურიცხვი კაცი დიდოი და ფხოვი, და დაყვნეს სამნი თუენი: ივნის, ივლისი და აგვისტოსი. მაშინ შეიწრებულთა ათაბაგისათა მოსცეს მძევლები და აღუთქუეს მსახურებად ხარაჯა, და პირი სიმტკიცისა აღუთქუეს. წარმოასხეს მძევლები, ქმნეს ზავნი და ესრეთ გამარჯუებითა მოვიდა ივანე მეფეს წინაშე და რქუა: „ძლიერო მეფეო! იქმნა ბრძანება შენი, მოვაოხრენ ურჩნი შენნი დოდოეთი და ფხოეთი“.

ამ დროიდან ამ მხარეს სახელიც ეცვლება და ფხოვის ნაცვლად შემდეგ საუკუნეებში ის ფშავად იხსენიება. მისი ძველი ისტორიული სახელი ფხოვი დღეს მხოლოდ ერთ სოფელს, შუაფხოს შერჩენია, რომელიც ფხოვის არსებობის უტყუარი მოწმეა. შესაძლებელია, ეს შუაფხო XII საუკუნეში თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობით ფხოვის ცენტრი ყოფილიყო, სადაც დაცულია ფშავის ძლიერი სალოცავი იახსრის ხატი და ნასოფლართა ნანგრევები. ფხოელების სახელწოდებაც ამ გეოგრაფიული ფხოვიდან უნდა

ყოფილიყო წარმოშობილი, მაგრამ ამბოხების შემდეგ ფხოვის ხეობაშიც სახელი ფხოვი იცვლება, რომლის ნაცვლად შემოდის „ფშავი“.

ქიზიყი - ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, ტერიტორია მდ. მტკვრის ჩრდილოეთით, ყარაიის ველის ქვემოთიდან მოკიდებული, მდინარეების ივრისა და ალაზნის ქვემო წელის აუზი (ახლანდელი სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონების ტერიტორია). ქიზიყის ანტიკური და ადრინდელი ფეოდალური ხანის სახელწოდებაა კამბეჩოვანი. სახელწოდება „ქიზიყი“ წყაროებში XV საუკუნიდან გვხვდება.

არსებობს ორი ძირითადი ვერსია, თუ რატომ მიეცა ამ მხარეს სახელწოდება „ქიზიყი“: სიტყვა „ყიზ“ თურქულად, სპარსულად და აზერბაიჯანულად ნიშნავს გოგოს, ანუ ერთი ლეგენდით სპარსელებმა ბევრი ქიზიყელი ქალი მოიპარეს და სახელიც „გოგონების ქვეყანა“ უწოდეს. სიტყვა „სიღნაღ“ სპარსული სიტყვაა და დაუნარცხავ ხალხს ნიშნავს, ხოლო ქისტებმა გადათარგმეს და „გიზიქ“ უწოდეს.

გვიანდელ შუა საუკუნეებში ქიზიყი იყო კახეთის ძირითადი ძალა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. 1616 ირანის შაჰმა აბას I-მა დაარბია მხარე. მოსახლეობა ხორნაბუჯის ციხეში გაიხიზნა და მტერმა ვერ მოახერხა მისი აყრა. XVII საუკუნის 60-70-იან წლებში კახეთში გაბატონებულ ყიზილბაშ ხანებს ქიზიყში, მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, ყარაღაჯში, ჰქონდათ სამხედრო საყრდენი პუნქტი. ქიზიყშივე ჰქონდა საზამთრო (აგრეთვე ყარაღაჯში) და საზაფხულო (მაღაროში) რეზიდენციები კახეთის მეფე დავით II-ს (იმამყული ხანი 1703-1722). XVIII საუკუნის II ნახევარში, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მმართველობის დროს, ქიზიყი მთავარ როლს ასრულებდა დაღესტნიდან და ჭარ-ბელაქნიდან მოძალებული მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში. XVIII საუკუნის II ნახევარში დაწინაურდა და ქიზიყის მთავარი ქალაქი გახდა სიღნაღი.

ქსნისხევი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი მოიცავს ქსნის ხეობას და მისი შენაკადების: ცხრამძის, ჭურთის, ცხავატურის და ალეურის ხეობებს. ამ კუთხეს სამხრეთით ემიჯნება სოფელი მუხრანი, ხოლო ჩრდილოეთის საზღვარს წარმოადგენს ყელის ტბა. ქსნისხევს ჩრდილო - აღმოსავლეთით ესაზღვრება მთიულეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით დუშეთის რაიონი (არაგვის ხეობა), ხოლო დასავლეთით ისტორიული შიდა ქართლი. ქსნისხევი ისტორიულად შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ქსნის საერისთავოს სტატუსით და მას ქსნის ერისთავები მართავდნენ. ქსნის საერისთავოს და შესაბამისად, ქსნისხევის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცენტრს სხვადასხვა დროს წარმოადგენდა ქვენიფნევი, ლარგვისი და ახალგორი. ქსნის ერისთავებს რეზიდენცია და სასახლე ასევე ჰქონდათ სოფელ იკორთაშიც (ამჟამინდელი იკოთი). ამჟამად ქსნისხევი მოიცავს ახალგორის რაიონს, ასევე დუშეთისა და მცხეთის რაიონების რამდენიმე სოფელს.

შავშეთი - ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული მესხეთის ნაწილი. იგი შემოსაზღვრულია

არსიანის მთით, არტანუჯის კლდის მასივით და მდინარე ჭოროხით. სახელწოდება მოდის ამავე დასახელების დაბიდან, რომელიც მისი ადრინდელი ცენტრი იყო.

IX ს-ში, შავშეთში, ისევე, როგორც მთლიანად სამხრეთ საქართველოში, დიდი აღმშენებლობა მიმდინარეობდა - განსაკუთრებით ეკლესია-მონასტრებისა. 1547 წელს შავშეთი ოსმალებმა დაიპყრეს, 1877-78 წლებში რუსეთი დაეუფლა, 1923 წელს კი კვლავ ოსმალეთს გადაეცა.

ცხავატი (რეგიონი) - ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში, ახლანდელი დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურის ჩრდილოეთით სოფელ ქვეშეთამდე. მთიულეთში სიტყვა „ცხავატი“ მთაგორიან, ბარიდან მთისკენ გარდამავალი რელიეფის აღმნიშვნელი ზოგადი სახელია.

წყაროებში ცხავატი პირველად VII საუკუნეში იხსენიება. 853 საქართველოში ბუღა თურქის ლაშქრობის დროს, მტერს ცხავატმდე მიუღწევია. XIII საუკუნის დასაწყისში თამარ მეფისაგან განდგომილ ფხოველთა წინააღმდეგ ბრძოლაში ცხავეტელები ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე გამოდიოდნენ. XIV საუკუნეში ცხავატს ხადასთან ერთად პოლიტიკური წინააღმდეგობა ჰქონდა ცხრამმისხევთან. ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიღუპა 18 ცხავატელი ხევისბერი. XVIII საუკუნის ბოლოსათვის ცხავატი დაიშალა გარეშემოს, მრევლისა და ცხაოტის თემებად.

ცხრამმისხევი - ცხრაზმისხევი, ისტორიულ - გეოგრაფიული რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში მდ.ქსნის ხეობის ზემო წელზე. შუა საუკუნეებში - ადმინისტრაციული ერთეული. თავსდება ახლანდელი ახალგორის რაიონის ლარგვისის თემის საკრებულოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე. სახელწოდება მოდის ცხრა სამმოსაგან (თემისაგან): დადიანეთი, ზოდეხი, თოხთა, მახიარეთი, დაბაკნეთი, უკანამხარი, უკანუბანი, წინუბანი (მარტიანი), ჩიტიანი, ყველდაბა. ცხრამმისხევი დასახლებულია ბრინჯაოს ხანიდან, ადრინდელ ფეოდალურ ხანაში - მჭიდროდ. VII-IX საუკუნეებში ადმინისტრაციულად ქსნისხევს ექვემდებარებოდა. X საუკუნეში გაძლიერდა და გაფართოვდა - ქსნის ხეობის ზემოწელის (საკუთრივ ცხრამმისხევი, ქარჩოხი, ჟამური, ჭურთა) გარდა მოიცავდა მდინარეების: ლეხურის, მეჯუდისა და პატარა ლიახვის ზემოთს; გაფართოვდა იგი სამხრეთითაც (რის გამოხატულებადაც მიჩნეულია ცხრამმისხევის ცენტრის ლარგვისიდან ქვენიფნევს გადმოტანა). XIII საუკუნის II ნახევრიდან ცხრამმისხევს მართავს ერისთავი, რომელიც ადრინდელი ფეოდალური ხანის ხევისუფლის პოლიტიკური სტატუსის გამგრძე- ლებელია. შემდგომში ცხრამმისხევის საერისთავო ქსნის საერისთავოს შეერწყა. ცხრამმისხევში შემორჩენილია საუბნო და სათემო სალოცავები, საფორტიფიკაციო ნაგებობები.

წანარეთი - ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მოიცავდა დარიალის ხეობის ზემოთს, ჯვრის უღელტეხილისა და მისი მიმდგომი რეგიონის ტერიტორიას - წანარეთის ხევს (იგივეა, რაც ხევი,

ახლანდელი ყაზბეგის რაიონის ტერიტორია).

VII და განსაკუთრებით VIII-IX საუკუნეებში წანარების ტომის დაწინაურებამ და პოლიტიკურმა სიძლიერემ ცნება „წანარეთს“ ზოგადი, კრებითი ეთნიკურ-პოლიტიკური შინაარსი შესძინა. წანარეთად იგულისხმებოდა კახეთის მთიანეთი - „მთიულეთი კახეთისა“ (მეცნიერებაში გამთქმულია მოსაზრება, რომ გარკვეულ პერიოდში პოლიტიკური ასპექტით წანარეთი მთლიანად კახეთს ეწოდებოდა). ტრადიციულად წანარეთის ხელისუფალს დაკისრებული ჰქონდა დარიალის ხეობის კონტროლი და განსაკუთრებით უღელტეხილის დაცვა ჩრდილოეთიდან მომთაბარე ტომთაგან. VIII-IX საუკუნეებში წანარეთი კახეთის სამთავროს შემადგენელი ნაწილი იყო. ამავე საუკუნეებში იგი ხდება ძირითადი ძალა კახეთის სამთავროს მიერ დაწყებული ბრძოლისა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ.

წებელდა (მხარე) - ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში - მდინარე კოდორის შუა და ზემო წყლის აუზში (ახლანდელი გულრიფშის რაიონის წებელდის ტერიტორია). გვიანდელი ანტიკური და ადრინდელი დეოდალურ ხანაში აფსილების ტომის განსახლების მხარე. VI საუკუნის ბიზანტირლი ავტორები პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი ბიზანტია-სპარსეთის ომთან დაკავშირებით მრავალჯერ იხსენიებენ აფსილეთის მთავარ ციხეს ციბილიუს (ციბილიუმს). მიაჩნიათ, რომ მხარის სახელწოდება „წებელდა“ და ციხის ერთიდაიგივეა. მთის მწვერვალებზე მიკვლეული ადრინდელი ფეოდალური ხანის რამდენიმე ციხე მიუთითებს რეგიონის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. წებელდის ციხეები კონტროლს უწევდა სავაჭრო-სატრანზიტო გზას, რომლითაც ჯერ რომის იმპერია, შემდეგ ბიზანტია ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს ახორციელებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან, ხოლო კასპიის ზღვის გვერდის ავლით - შუა აზიასთან. ფეოდალურ ხანაში წებელდა მარშანიების ფეოდალური საგვარეულოს ეკუთვნოდა. მდინარე კოდორის ხეობის ზემო წელის ერთი მონაკვეთი - „დალი“ გვიან საუკუნეებში გამოეყო წებელდას. 1810 აფხაზეთის სამთავრომ ცნო რუსეთის პოლიტიკური სუვერენიტეტი. წებელდაში ახალი ხელისუფლება აღიარეს 1840 წელს. აფხაზეთის 1866 აჯანყების დროს წებელდის მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა ადგილობრივი ფეოდალებისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. შემდეგში წებელდის მოსახლეობა იძულებით თურქეთში გადასახლდა (მუჰაჯირობა).

წებელდა მდიდარია არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლებით. ნაპოვნია კანკელის ფილები. გათხარეს II-VII საუკუნების მრავალრიცხოვანი სამარხები. ახლანდელი სოფელ წებელდის აღმოსავლეთით 4 კმ-ზე გათხარეს ერთ-ერთი ციხე. გამოვლინდა საფორტიფიკაციო სისტემა, 2 დარბაზული ეკლესია, აბანო, სამეურნეო სათავსები, წყალსაცავი აუზი, წყალსადენი, VI საუკუნის მონეტები და სხვა. აღმოჩენილია აგრეთვე X-XI საუკუნეების მონეტების განძი, რომელიც შეიცავს არაბული დირჰემების ქართულ მინაბაძებს.

წილკანი (მხარე) - ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, შუა საუკუნეებში

- თემი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში, თეთრი არაგვის (მთიულეთის არაგვის) სათავეებში (ახლანდელი ყაზბეგის რაიონის ტერიტორია). სახელწოდება მომდინარეობა სიტყვისაგან „წინკარი“ (წინკარი> წირკანი> წილკანი). წილკანი საქართველოს ერთ-ერთი პირველი მხარეა, სადაც ქრისტიანული რელიგია გავრცელდა. ეროვნული ტრადიციის თანახმად, IV საუკუნის 30-იან წლებში ქართველთა განმანათლებელმა ნინომ წობენში სხვა მთიელებთან ერთად წილკნელებსაც მიაღებინა ქრისტიანობა. წილკნის მხარე ეკლესიურად შედიოდა წილკნის საეპისკოპოსოში.

წობენი - ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტი აღმოსავლეთ საქართველოში, ახლანდელი დუშეთის რაიონში, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, დაბა ჟინვალსა და სოფ. ჩინთს შორის. წმინდა ნინომ ამ ადგილებში გააქრისტიანა არაგვის ხეობის მთიელები: ჭართალელნი, ფხოველნი, წილკნელნი, გუდამაყრელნი, სოფელ ჩინთის განაპირას მინდორზე ამოზიდულ 15 მ სიმაღლის კლდეს ხალხური გადმოცემით „ნინოს ქვა“ ჰქვია. შუა საუკუნეებში წობენი საეკლესიო გლეხებით დასახლებული სოფელი იყო. ადრინდელი შუა საეკუნეებში წობენი ერქვა აგრეთვე მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე, საგურამო-ხერკის ჩრდილოეთით ჟინვალამდე მოსახლე თემს.

წოფოფორი - წობოფორი, ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, ადმინისტაციულ-ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლში, ისტორიულ სომხითში (ახლანდელი მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე). მოიცავდა მდინარე ბანოშისწყლის (ძველი ხოჟორნა) ხეობას მდინარე დებედის ზვემო წელამდე (მიაჩნიათ, რომ გარკვეულ პერიოდში მის საზღვრებში იყო მოქცეული ჭოჭკანის ხეობა და მდინარე დებედის ქვემო წელიც).

სახელწოდება „წოფოფორი“ მომდინარეობს რეგიონის ცენტრის - წოფის ციხისაგან და სომხური სიტყვისაგან „ფორ“ (ნიშნავს ხევს). ქართული ისტორიული წყაროების თანახმად წოფოფორი გაჩიანის მხარეში შედიოდა. სომხეთის ისტორიის წყაროები მას გუგარქის (გოგარენე) მხარეში იხსენიებენ. წოფოფორზე გადიოდა ქართლიდან სომხეთში მიმავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა. დაახლოებით X საუკუნეში წოფოფორში აშენდა ხოჟორნის ციხე, რომელიც მხარის ახალი ცენტრი გახდა.

ჭანეთი - ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული მესხეთის ნაწილი. III-IV ს-ში იგი მოიცავდა შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთს, მდინარე ჭოროხის ზემო წელის აუზს. მოგვიანებით სახელწოდება გავრცელდა მის მიმდებარე ზღვის სანაპირო ტერიტორიაზე. იგივეა, რაც ლაზეთი, ლაზისტანი, ბერძნული თიანიკე. მხარე დასახლებული იყო დასავლურ-ქართული ტომით - ჭანებით. VI ს-ში ჭანეთის ტერიტორია ბიზანტიამ დაიპყრო. ამავე პერიოდში აქ გავრცელდა ქრისტიანობა. XIII-XIV სს-ში იგი ტრაპიზონის იმპერიაში მოექცა, 1461 წელს თურქეთმა შეიერთა. ისტორიული ჭანეთის მხოლოდ უმნიშვნელო

ნაწილი - ახლანდელი სოფელი სარფი და მისი მიმდებარე რეგიონი შედის საქართველოს შემადგენლობაში.

ჭარ-ბელაქანი - XVIII ს. I მეოთხედში აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე (ისტორიული კაკ-ენისელი) დაღესტნელი ფეოდალების მიერ შექმნილი პოლიტიკური ერთეული; იგივეა, რაც გვიანდელი საინგილო. 1803 წ. ჭარ-ბელაქანი რუს-ქართველთა ჯარმა დალაშქრა და რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობის მიღება აიძულა. 1830 წ. რუსეთმა უშუალოდ შეიერთა ეს ტერიტორია. 1830-40 წწ. ქმნიდა ჭარ-ბელაქნის ადმინისტრაციულ ოლქს, 1842-60 წწ. - სამხედრო ოლქს, 1860-1917 წწ. - ოკრუგს. 1918-1921 წწ. შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში; მხარეზე პრეტენზიებს აცხადებდა მეზობელი აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა, შემდეგ - აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც სადავო მიწები საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს გადაეცა. მოიცავს აზერბაიჯანის ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიას. საინგილო დღეისათვის აზერბაიჯანის შემადგენლობაშია და მოიცავს 3 - კახის, ბელაქანისა და ზაქათალას რაიონებს. მისი საერთო ფართობი 3985 (ან 3993) კვ.კმ-ია. „ინგილო“ – „ახალმორჯულებულს“ ნიშნავს. ასე ეძახდნენ ამ მხარეში გაბატონებული ლეკები ადგილობრივ ქართველებს, რომლებსაც ძალით ამუსლიმანებდნენ. საინგილო ამ მხარეს საბოლოოდ XIX საუკუნეში დაერქვა.

XII ს-ში კახეთ-ჰერეთი ერთიან საქართველოს შეუერთდა და 7 საერისთავოდ დაიყო. აქედან ერთ-ერთი იყო მაჭის საერისთავო. XV ს-ში საქართველოს დაშლის შემდეგ კახეთ-ჰერეთი დამოუკიდებელი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. ამიერიდან საერისთავოები სამოურავოებად დაიყო. მაჭის საერისთავოს ნაცვლად შეიქმნა 3 სამოურავო - წუქეთი (წახური), ჭაური და კაკ-ელისენი.

1562 წ. ირანის შაჰმა თამაზ I-მა კახეთს ჩამოაჭრა წახურის სამოურავო მდინარე სამურის ზემო წელზე. 1604 წ. ირანის შაჰმა აბას I-მა კახეთს ჩამოართვა კაკ-ელისენი და მის ადგილზე ელისუს სასულთნო შექმნა, რომლის სულთნად მუსლიმი ქართველი თავადი ალიბეგ ვახვახიშვილი დანიშნა. ამ პერიოდიდან დაიწო ამ 2 ყოფილ სამოურავოში ლეკებისა და თურქ-აზერბაიჯანელთა ჩამოსახლება. შედეგად წახურის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ჭარ-ბელაქანის ლეკთა სამფლობელო, რომელიც სისხლს უშრობდა დანარჩენი კახეთის მოსახლეობას.

1803 წ. ჭარ-ბელაქანი და ელისუ რუსეთის მფარველობაში შევიდნენ. 1830 წ. რუსეთმა ორივე მხარე შეიერთა, გააერთიანა და ჯერ ჭარ-ბელაქანის ოლქი, შემდეგ კი (1860 წ.) ზაქათალას ოლქი უწოდა და დაღესტანის ოლქს შეუერთა. 1918 წ. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ზაქათალას ოლქი ახლადშექმნილი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. 1921 წ. კი ხელისუფლებაში მოსულმა კომუნისტებმა საქართველოს მიწების გაჩუქება დაიწყეს. 1921 წ. 15 ნოემბერს საქართველო-აზერბაიჯანის კომუნის-

ტურის მთავრობების შეთანხმებით ზაქათალას ოლქი ყარა-გარეჯის საძოვრებთან ერთად აზერბაიჯანს გადაეცა (ამის მიზეზად მოყვანილი იქნა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე მუსლიმანური მოსახლეობა ცხოვრობდა). ამ ხელშეკრულებას ხელი საქართველოს რევკომის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ბუდუ მდივანმა მოაწერა. 1918 წლისთვის ზაქათალას ოლქის (საინგილოს) ტერიტორიაზე 68270 ადამიანი ცხოვრობდა. აქედან 19430 ქართველი (მათ შორის 4600 ქრისტიანი), 575 სომეხი, 205 რუსი, 12245 აზერბაიჯანელი, 45000-მდე ლეკი (32335 ჭარელი და 12660 წახურელი).

დღეისათვის საინგილოში ოფიციალური აზერბაიჯანული ინფორმაციით 15 000 ქართველი ცხოვრობს, ხოლო რეალურად მათი რიცხვი 40 000-ს აჭარბებს. ამ განსხვავების მიზეზი ისაა, რომ მუდმივი შევიწროვების გამო ქართველთა დიდ ნაწილს გვარები აზერბაიჯანულად აქვთ გადაკეთებული. თანაც მუსლიმან ინგილოებს აზერბაიჯანი ქართველებად არ თვლის. საინგილოში 7 ქართულენოვანი სკოლა, 5 ქართულ ენაზე სწავლების სექტორი და 7 ქართულენოვანი ბაღი ფუნქციონირებს.

საინგილოში რამდენიმე ისტორიულად მნიშვნელოვანი ტაძარი მდებარეობს: კახინგილოს წმინდა გიორგი, ქურმუხის წმინდა გიორგი, ალიბეგლოს (ქათმისხევის) წმინდა ნინო, მეშაბაშის მთავარანგელოზი, ქოთოქლოს სამება, კახის ალავერდის წმინდა ნინო. აღნიშნულებიდან მუდმივმოქმედია მხოლოდ კახინგილოს წმინდა გიორგი. ქურმუხის ტაძარი წლების მანძილზე მოქმედებდა, თუმცა რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანის ხელისუფლების მოთხოვნით დაიხურა და მხოლოდ გიორგობის დღესასწაულებზე იხსნება მლოცველთათვის

ჭართალი, ჭართალეთი - ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე მთიულეთის არაგვის შუა წელზე, სოფელ ანანურიდან მდინარე ხანდოსხევამდე (ახლანდელი მცხეთა-მთიანეთის მხარე, დუშეთის მუნიციპა- ლიტეტის ჭართლის თემის ტერიტორია). ზოგჯერ მთიულეთის ნაწილადაც მოიაზრება. ჩრდილოეთით ესაზღვრება ხანდო, სამხრეთით - ბაზალეთი, აღმოსავლეთით - ფშავი, ხოლო დასავლეთით - ქსნის ხეობა.

წყაროებიდან პირველად „ქართლის ცხოვრება“ იხსენიებს მირიან I-ის მეფობის ამბებთან დაკავშირებით (ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისი). მემატიანის ცნობით, ჭართალში მოსახლე მთიელები („კავკასიანნი“) დურძუკებს შეკავშირებიან და კახეთი და ბაზალეთი დაურბევიათ. 330-იან წწ. წობენში ქართველთა განმანათლებელმა წმ. ნინომ სხვა მთიელებთან ერთად ჭართლელებსაც მიაღებინა ქრისტიანობა. 853 წ. არაბთა დამსჯელი ჯარი ბუღა თურქის სარდლობით ჭართალშიც ავიდა. 1210-იან წწ. თამარ მეფის წინააღმდეგ ფხოველთა და დიდოთა გამოსვლის დროს, ჭართალელნი სამეფო ხელისუფლების მხარეს იბრძოდნენ. შემდგომში ჭართალი არაგვის საერისთავოს ემორჩილებოდა; იყო მისი სამოურავო.

ხადა - ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მდ. მთიულეთის არაგვის სათავეებთან (მისი მნიშვნელოვანი ნაწილი თავსდება ახლანდელი დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე, მცირე ნაწილი - ახლანდელი ყაზბეგის რაიონის ტერიტორიაზე), ისტორიული თემი. ამ რეგიონთან დაკავშირებით არსებობს ხალხური ლექსიც: „არ ვიცი ხანდო-ჭართალი, გუდამაყარი სად არი, ხადაში გამიგონია სამოცი ციხე მაგარი“. ცხავატთან ერთად ქმნიდა ეთნოგრაფიულ მთიულეთს.

ადგილობრივი განსაზღვრით სახელწოდება „ხადა“ ნიშნავს მთას, მთიან ადგილს, ვარაუდით მისი ძველი სახელწოდებაა წილკანი. ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) მიხედვით ხადა იგივეა, რაც ციკარა („ადგილი კლდოვანი და 60 კოშკოვანი“).

ხადის ხევი დასახლებულია ნეოლითის ხანიდან. შუა საუკუნეებში ხადა უპირატესად არაგვის საერისთავოს შემადგენელი ნაწილი იყო. XIII საუკუნის დასაწყისში ხადელები თამარ მეფის ხელისუფლების დასაცავად ებრძოდნენ აჯანყებულ დიდოელებსა და ფხოველებს. XIII საუკუნის დასასრულს ხადა გახდა მონღოლთა დამსჯელი ჯარის თარეშის ობიექტი. მთიულეთის აჯანყების (1804წ) დროს პირველი შეტაკებები მთავრობის ჯარებთან ხადაში, სოფელ კაიშაურნთან (დღევანდელი დუშეთის რაიონი) მოხდა.

ხანდო (მხარე) - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი არაგვის ხეობის ერთ-ერთი მცირე კუთხეა, რომელსაც ხშირად მთიულეთის ნაწილად მოიხსენიებენ. იგი შედგება ერთმანეთის გვერდით მდებარე ორი ხევის - ხანდოსწყლისა და სოდევე-მეჯილაურთას წყლისაგან. ორივე ეს მდინარე ლომისის მთიდან გამოდის და ერთმანეთს სოფელ წინამხართან უერთდებიან. ხანდოს საზღვრები ასეთია: ჩრდილოეთით მას მთიულეთი ესაზღვრება, დასავლეთით - ცხრაზმა, სამხრეთით და აღმოსავლეთით - ჭართალი. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ხანდოს ტერიტორია შედის მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის რაიონში.

ხევი (მხარე) - ისტორიული წანარეთი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე თერგის აუზში და მოიცავს თრუსოს, ბაიდარის, სნოსწყლის და დარიალის ხეობებს. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება ხევსურეთი, სამხრეთით - მთიულეთი, ჩრდილოეთით - ოსეთი, დასავლეთით - შიდა ქართლის მთიანეთი. ხევის მთავარი მდინარეა თერგი, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედის კალთაზე, ზილგახოხის მყინვარში. ხევი იგივეა, რაც ადრინდელი შუა საუკუნის წანარეთი. მატიანეში „მოქცევაჲ ქართლისაი“ (IX ს.) VI საუკუნის მოვლენების თხრობასთან დაკავშირებით მოხსენებულია „ხევი წინარეთისა“. შემდგომში სახელმწიფო „წინარეთი“ ხმარებიდან თანდათან გამოვიდა და ზოგადი სახელი ხევი იქცა მხარის საკუთარ სახელად. ერთდროულად წანარების სატომო სახელის ნაცვლად ჩნდება ტერმინი „მოხევე“. დარიალის ხეობაში ძველთაგანვე გადიოდა ერთ-ერთი გზა, რომელიც ამიერკავკასიას (მათ შორის საქართველოს) აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასა და კავკასიის

გადაღმა მხარეებთან (საქართველოს სამხედრო გზა, დარიალის ხეობა). რეგიონის სამხედრო-სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა აქ სიმაგრეთა სისტემების არსებობა.

საუკუნეების განმავლობაში ხევი პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტატუსით სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, გარდა იმ პერიოდისა, როცა იგი არაგვის ერისთავებს ემორჩილებოდა (XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან 1743 წლამდე, არაგვის საერისთავოს გაუქმებამდე). XVIII საუკუნეში ხევი იყოფოდა სტეფანწინდის, სნოს, ფანშეტისა და მნის სამოურავოებად. მთიულეთის 1804 წლის აჯანყების დროს მოხევეები აქტიურად იბრძოდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ხევში შემორჩენილია IX-X საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები: გარბანის წმინდა გიორგის ეკლესია, სიონის სამნავიანი ბაზილიკა, თრუსოს მთავარანგელოზის ეკლესია, სოფელ ახალციხის ბაზილიკა, ბეთლემის სამონასტრო კომპლექსი. გვიანდელი შუა საუკუნის საერო ნაგებობები: სნოს ციხე, არშის ციხე და სხვა. ხევის მთელი ტერიტორია მცხეთა-მთიანეთის მხარის ყაზბეგის რაიონში შედის, რომლის ცენტრია დაბა სტეფანწმინდა.

ხევსურეთი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე. კავკასიონის ქედი მას ორ ნაწილად ჰყოფს - პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთად. პირიქითა ხევსურეთი შედგება სამი ხეობისაგან: მიღმახევის, შატილის და არხოტის, პირაქეთა ხევსურეთი - არაგვის ხეობისაგან. ხევსურეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩეჩნეთი და ინგუშეთი, აღმოსავლეთით - თუშეთი, დასავლეთით - ხევი და გუდამაყარი, სამხრეთით - ფშავი. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ხევსურეთის მთელი ტერიტორია შედის მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის რაიონში და ოთხ თემადაა გაყოფილი: ბარისახოს, გუდანის, შატილის და არხოტის.

სახელწოდება „ხევსურეთი“ შერქმეული აქვს მხარის მთიანი, ხევებიანი ადგილმდებარეობის გამო. ამ სახელწოდებით წყაროებში XV საუკუნიდან იხსენიება.

ხევსურეთის ადრინდელი სახელწოდებაა ფხოვი (ასე ეწოდებოდა მას ფშავთან ერთად), ხოლო ხევსურებისა და ფშავებისა - ფხოველები. პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთი ერთმანეთს უკავშირდებიან არხოტისა და დათვისჯვარის უღელტეხილებით. საუკუნეების განმავლობაში ხევსურეთი პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტატუსით სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. სამეფო ხელისუფლების დასუსტების პერიოდში არაგვის ერისთავები, რომელთაც მთიანეთის საერთო გამგებლობა ევალებოდათ, ცდილობდნენ ხევსურეთზე საბოლოო გაბატონებას. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში ხევსურეთის მნიშვნელობა გაიზარდა, იგი ბარს იცავდა მომხვდური მოთარეშე რაზმების დარბევისაგან. ხევსურები ქმედითად მონაწილეობდნენ

ასპინძის ბრძოლაში (1770წ), კრწანისის ბრძოლაში (1795წ), მთიულეთის აჯანყებისა (1804წ) და კახეთის აჯანყების 1812 დროს აქტიურად იბრძოდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო ხევსურების სხვა რეგიონებში გადასახლება. XX საუკუნის 50-იან წლებში ხევსურეთის მოსახლეობის ნაწილის ბარად ჩამოსახლებას ნეგატიური სოციალური და ეკონომიკური შედეგი მოჰყვა. 80-იან წლებში დაიწყო ხევსურეთის მიტოვებულ რეგიონებში ცხოვრების გეგმაზომიერი აღორძინება. ხევსურეთში შემორჩენილია შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლები: ხახმატის ციხე, ახიელის ციხე, ლებაისკარის ციხე, მუცოს ციხე-სოფელი, არდოტის ციხე-სოფელი, ხახაბოს ციხე-სოფელი, შატილის ციხე-სოფელი, გუდანის ჯვარი, ანატორის ჯვარი, აკლდამები და სხვა. ხევსურეთს შეუძლია გამოკვებოს მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი, ამიტომ ნამრავლი იძულებულია სხვაგან გადასახლდეს და თავისი სარჩო იქ მოიპოვოს. ასე გაჩნდა ხევსურთა ახალშენები ხევში (ჯუთა), გუდამაყარში, თიანეთში, კახეთში (გომბორი, შირაქი).

ხერკი - ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი აღმოსავლეთ საქართველო-ში, შუა საუკუნეების ადმინისტრაციული ერთეული - ხევი (იგივე თემი) მდინარე არაგვის დინების სამხრეთით მარცხენა მხარეს (ახლანდელი მცხეთისა და დუშეთის რაიონების ტერიტორიის ნაწილი). ხერკი, იგივე საგურამოს ან თეზმის ხევია. ვახუშტი ბატონიშვილის ლოკალიზაციით აღმოსავლეთით საზღვრავდა ერწოს მთა, სამხრეთით - ზედაზნის მთა, ჩრდილოეთით - ნიკორნა-ბოკოწანს შორის მდებარე მთები, დასავლეთით - მდინარე არაგვი. ხერკის ცენტრი იყო ზედაზნის ციხე. ანტიკურ ხანაში ხერკი მუხრანთან ერთად მცხეთის „სამოქალაქოს“ (მცხეთის საგამგებლო რეგიონი) ქმნიდა. შუა საუკუნეებში ხერკზე გაბატონება გარკვეულად ცვლიდა მიმდე-ბარე პოლიტიკური ერთეულთა პოლიტიკურ მდგომარეობას. XII დასაწყისში დავით IV აღმაშენებელმა ზედაზენი და ხერკი სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა, რამაც აუცილებელი გახადა კახეთის სამეფოს გაუქმება და ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შესვლა.

ხორძენე, ხორზენე (ანტიკური წყაროები - ხოტენე და კორაძენე) - მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მდინარე ჭოროხის ხეობაში. შუა საუკუნეებში მოიხსენიება როგორც ტაო და კოლა. წყაროებში იგი პირველად მოხსენიებული აქვს სტრაბონს (ძვ.წ. I ს.-ახ.წ. I ს.), როგორც ძვ.წ. II ს. ქართლის (იბერიის) სამეფოს ტერიტორია, ანექსირებული სომხეთის სამეფოს მიერ. I-II საუკუნეებში ხორძენე კვლავ ქართლის შემადგენლობაში იყო. III-IV საუკუნეებში ხორძენეს ისევ სომხეთი დაეუფლა. ხორძენეს ერთი ნაწილი (კოლა) ქართლს საბოლოოდ V საუკუნეში შეუერთდა, დანარჩენი (ტაო) - VIII საუკუნეში.

ხუნანი (მხარე) - მხარე ისტორიულ აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავდა ტერიტორიას მდინარეების დებედასა და პასანსუდან და ძეგამ-ჩაიმდე (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია). ძვ.წ. III საუკუნიდან აქ

არსებობდა ხუნანის საერისთავო, დაარსებული ჯერ კიდევ მეფე ფარნავაზ I-ის მიერ. წყაროებში იხსენიება V საუკუნის ხუნანის ერისთავი ნერსარანი. საერისთავო მოიცავდა საკუთრივ ხუნანის ოლქს, ძოროფორს, კოლბოფორსა და გარდაბანს. V საუკუნეში მეფე ვახტანგ I გორგასალმა ხუნანში საეპისკოპოსო დააარსა. XII-XIII საუკუნეებში ყოფილი ხუნანის ტერიტორია გაგის საერისთავოში შედიოდა.

მონღოლთა შემოსევების (XIII ს.) შემდეგ ხუნანი წყაროებში აღარ იხსენიება.

ჯავახეთი - მხარე სამხრეთ საქართველოში, ზემო ქართლში (ძირითადად მოიცავს ახლანდელი ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპა-ლიტეტების ტერიტორიას), ისტორიულად საზღვრავდა დასავლეთით მდინარე მტკვარი (მდინარის მარცხენა შენაკადი ხევებიმგელციხიდან ასპინძამდე ასევე ჯავახეთში შედიოდა), ჩრდილოეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით შავვაშეთის, სამსარისა და ნიალისყურის მთები. ტერმინი „ჯავახეთი“ მიღებულია ჯავახ – ფუძეზე – ეთ ბოლოსართის დართვით, შესაბამისად „ჯავახეთი“ ჯავახების საცხოვრებელს, სამყოფელს ნიშნავს (შეადარეთ: სპარსეთი - სპარსთა ქვეყანა, რუსეთი - რუსთა ქვეყანა). პირველი ცნობა ჯავახეთის სახელწოდების შესახებ ურარტუულ წყაროებში, მეფე არგიშთი I–ის წარწერებში გვხდება (ძვ.წ. 785). აქ ჯავახეთი ზააბახას სახელითაა ნახსენები. პავლე ინგოროყვას მოსაზრებით სიტყვა ჯავახი უძველეს ქართულ სატომო სახელწოდებას - "ტაოხ"-ს უკავშირდება. ტაოხები დიაოხის (ტაოს) ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ და დღევანდელი ჩრდილო - აღმოსავლეთ თურქეთისა და სამხრეთ საქართველოს, მათ შორის ჯავახეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ. პავლე ინგოროყვა თვლის, რომ ტაოხსა და ჯავახს შორის შუალედური ფორმა უნდა ყოფილიყო ჭაოხ–ი, ჭავახ–ი. დღევანდელი ადგილობრივი სომხური მოსახლეობა ჯავახეთს ჯავახქ-ს (სომხ. Ջավախք) ეძახის, რაც ქართული სახელის სომხური ინტერპრეტაციაა. წყაროებში ჯავახეთი (ზააბახა) პირველად ძვ.წ. 785 წელს იხსენიება ურარტუს მეფის არგიშთი I-ის წარწერაში, როგორც დაპყრობილი მხარე; იმხანად იგი მოიცავდა ჩილდირის ტბის დასავლეთ მხარეს (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). უძველესი დროიდანვე ჯავახეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო ოყო (ცენტრი წუნდა). იგი როგორც აღმოსავ- ლურქართულ, ისე დასავლურ-ქართულ კულტურულ - ისტორიულ სფეროში იყო მოქცეული (ჯავახეთის, ისე როგორც მთელ სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს საქართველოს ტოპონიმიკაში, შეიმჩნევა ზანური ენის დანაშრევი ელემენტები). ისტორიული ჯავახეთი იყოფოდა: ზემო ჯავახეთად (ახალქალაქის ზეგანი) და ქვემო ჯავახეთად (მდინარე მტკვრის კანიონი მარცხენა სანაპიროთი). XI საუკუნიდან ზემო ჯავახეთის ცენტრი გახდა ახალქალაქი. X საუკუნიდან ქვემო ჯავახეთის ცენტრი ხდება თმოგვი. საქართველოს სახელმ- წიფოებრივი ძლიერების ხანაში (XI-XIII საუკუნეები) ჯავახეთიც აღმავლობის გზას დაადგა; აშენდა ქარვას- ლები, ხიდები, ეკლესია-

მონასტრები, სამეფო რეზიდენციები (დლივი, ღრტილა, ბოჟანო, ვარძია, ალასტანი). XII საუკუნიდან დომენს თორელთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები განაგებდნენ. XIII საუკუნიდან ჯავახეთის ადმინისტრაციული საზღვრებში შედიოდა აგრეთვე პალაკაციო და სამცხის ნაწილი. XV საუკუნეში ჯავახეთი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ეკუთვნოდა. XVI საუკუნეში სამხრეთ საქათველოს სხვა ტერიორიის ნაწილთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა. ჯავახეთის ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი ქვეყნის შიდა რაიონებში - ქართლსა და იმერეთში გადასახლდა. ადგილზე დარჩენილმა იძულებით ისლამი მიიღეს. XIX საუკუნის I ნახევარში ჯავახეთში კომპაქტურად სახლდებოდა თურქეთიდან დევნილი სომხური მოსახლეობა და რუსეთის იმპერიის შიდა რაიონებიდან გადასახლებული რუსული მოსახლეობა — სექტანტი დუხობორები. XIX საუკუნის პირველ მესამედში, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ამიერკავკასია მიიერთა, კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა რუსეთსა და ირან-თურქეთს შორის. რუსეთის მთავარი ამოცანა იყო სამხრეთ საზღვრების საიმედო ჩაკეტვა. მთავრობის ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა ირანისა და თურქეთის საზღვრებთან ყველაზე ერთგული ხალხის დასახლებით, რომლებიც შეძლებდნენ არა მარტო სამხრეთის საზღვრების საიმედო დაცვას, არამედ სახელმწიფოს გაათავისუფლებდნენ იმ კოლოსალური ხარჯებისაგან, რომლებსაც იგი ახმარდა საზღვრების დამცველი ჯარის შესანახად. 1828 წელს თურქეთთან რუსეთის ჯარების წარმატებებმა მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი სამცხე-ჯავახეთში საიმედო ხალხის ჩამოსახლებაზე. გადაწყდა, თრიალეთსა და ჯავახეთში თურქეთიდან ქრისტიანი სომხებისა და ბერძნების ჩამოსახლება. 1829 წლის 3 დეკემბერს გენერალმა ივანე პასკევიჩმა შეადგინა გადმოსახლების განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი თავჯდომარეობდა. კომიტეტმა შეიმუშავა გადმოსახლების დებულება. კომიტეტის წინასწარი ანგარიშით ყარსის, ერზურუმისა და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან საქართველოში გადმოსახლდებოდა 8000 ოჯახი. მაგრამ გადმოსახლების დაწყების შემდეგ ოჯახთა ეს რაოდენობა 14000-მდე ავიდა. ცარიზმის პოლიტიკური მიზანი იყო საქართველოში ეთნიკური სიჭრელის შექმნა. რუსეთისადმი ქართველი ხალხის ერთგულება მეფის მთავრობას რატომღაც არ სწამდა. ამიტომ იყო, რომ უარი უთხრა იმერეთში გახიზნულ მესხ მოსახლეობას განთავისუფლებულ ტერიტორიზე დასახლებაზე. ახალციხის აღებისთანავე პასკევიჩთან გამოცხადდნენ XVI-XVIIსს. მესხეთიდან გაქცეული ციციშვილების, ავალიშვილების, მუსხელიშვილების და სხვათა შთამომავლები. ქართველ მეფეთა გაცემული სიგელები წარუდგინეს და მამაპაპისეული მამულების დაბრუნება სთხოვეს. პასკევიჩმა მათი თხოვნა არ შეიწყნარა და გარკვეული გულისწყრომაც გამოთქვა.

ჯიქეთი, ასევე საძენი - წარსულში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხე. ასევე მოიხსენიება, როგორც უკიდურესი აფხაზეთი. დღეს ნაწილობრივ შედის საქართველოს შემადგენლობაში, კერძოდ კი გაგრის

რაიონის ტერიტორიის შემადგენლობაში. ჯიქეთის დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციაშია და განაწილებულია ადიღესა და კრასნოდარის მხარეს შორის.

ჯიქეთი ხშირად იყო ბიზანტიის ტერიტორია, ან მისი მოხარკე ქვეყანა. XII საუკუნეში ჯიქეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სამთავრო, რომელიც თამარის დროს საქართველოს შემადგენლობაში შევიდა.

ჰერეთი - აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. წყაროებში პირველად V საუკუნეში მოიხსენიება. უძველეს ხანაში კავკასიის ალბანეთის სამეფოში შედიოდა. (X)-XIV საუკუნეების წყაროების მიხედვით მოიცავდა გვიანდელი ხანის შიგნიკახეთისა და გაღმამხრის ტერიტორიას (მდ.ალაზნის ველი) საინგილოს ჩათვლით. XII საუკუნეში ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ერთ-ერთი ადმინისტრაციულ - პოლიტიკური ერთეული - ჰერეთის საერისთავო, რომელიც დაღესტნის მოსაზღვრე მთიანეთსაც მოიცავდა. XI საუკუნის ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ჰერეთი მოიცავდა კამბეჩოვანსაც და სუჯეთსაც (ე.ი. გარდა მდ.ალაზნის ველისა, მდ.ივრის შუა და ქვემო დინების ზეგანს), თუმცა წყაროსეული ცნობა უფრო ძველ რეალობას ასახავს და ეფარდება ვახტანგ I გორგასალის (V ს.) მიერ შექმნილ ადრინდელი პერიოდის ჰერეთის საერისთავიოს ტერიტორიას. ზოგიერთი წყაროს მიხედვით სახელწოდება „ჰერეთი“ აგრეთვე კავკასიის ალბანეთის ტერიტორიასაც აღნიშნავს. XV საუკუნიდან ტერმინი „ჰერეთი“ აღარ იხმარება და მას ენაცვლება ტერმინი „კახეთი“.